პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის,
და სრულიად საქართველოს მუშათა
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოები
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი. რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ 65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“
განცხადებები: მომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

— ალბანეთის მეამბოხენი განაგრძობენ შეტევას დედაქალაქზე.

— ესპანეთის არმია მაროკოში უკან იხევს.

— დაიწყო მღელვარება საფრანგეთის პარლამენტში.

— ესპანეთის დირექტორიამ მეფის შეურაცხყოფისათვის სამხედრო სასამართლოში მისცა ცნობილი მწერალი ბლასკო იბანიესი.

— კანტონში (ჩინეთი) აჯანყდა გარნიზონი, რომელმაც დაარბია ფოსტა და ბანკი.

პარასკევი, 19 დეკემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 290 (1145)

სოფლის პარტ-უჯრედების თათბირი

ა/წ. 20 დეკემბერს, საქართველოს კომპარტიის ცეკას ბინაზე მოწვეულია

სოფლის უჯრედების გაფართოებული თათბირი

ცეკას მიერ გამოყოფილ სოფლად მუშაობის კომისიის წევრების მონაწილეობით.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენებები ადგილებიდან, 2. სოფლის უჯრედების მორიგი ამოცანები სოფლად, 3. უჯრედების ამოცანები სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში, 4. ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის შესახებ, 5. პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად, 6. სოფლის კოოპერაციის შესახებ, 7. გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების შესახებ, 8. ა. ლ. კ. კ. მუშაობა სოფლად და 9. ტერიტორიალური ნაწილების შესახებ.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი ლ. ქართველიშვილი.

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

პროფკავშირთა მეექვსე ყრილობაზე მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისათვის გადადგმული ნაბიჯი, როგორც უკვე ვიცით, ყველგან ფართე გამოხმაურებას ჰპოულობს.

როგორც იმ თავითვე მოსალოდნელიც იყო, ჩვენს გადაწყვეტილებას ამ საკითხის შესახებ, ჩვენ მიერ ამ მიმართულებით მიღებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს, ამსტერდამის გაერთიანების ბიუროკრატები, მისი მემარჯვენე ხელმძღვანელი წრეები აშკარად მტრულად შეხვდნენ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა ორგანომ, გაზ. „ფორვერტს“-მა გამაფთრებული კამპანია დაიწყო პერსელის წინააღმდეგ. ჯერ იყო და მისი განცხადებანი, არც მეტი, არც ნაკლები, კომუნისტების მიერ შეთხზულ სიყალბედ გამოაცხადა, ხოლო როცა თვით პერსელმა კატეგორიულად გააბათილა „ფორვერტს“-ის ეს „ღრმა მოსაზრება“, ამ გაზეთმა პერსელის მთელი გამოსვლები პირდაპირ „სისულელედ“ აღიარა.

თავისთავად გასაგებია, რომ გერმანიის მენშევიკებს არაფრად ეჭაშნიკათ საბჭოთა კავშირის შესახებ ჭეშმარიტების აღიარება, ისიც ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარის მხრით. ამ ჭეშმარიტების „ცნობა“ „ფორვერტს“-ის მიერ იქნებოდა თავისთავის გამათრახება, იმ სიცრუის კამპანიის მხილება, რომელსაც ის წლების განმავლობაში აწარმოებს საბჭოთა რევოლიუციის წინააღმდეგ. ეს იქნებოდა მთელი მეორე ინტერნაციონალის გაკოტრების აღიარება.

ამასთან საბჭოთა რესპუბლიკების, კერძოდ საბჭოთა პროფკავშირების მდგომარეობის შესახებ მიუდგომელი ცნობების გავრცელება ხელს შეუწყობდა ჩვენი და ევროპის მუშათა კლასის დაახლოვებას, მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენას. ეს კი სახიფათოდ მიაჩნიათ მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალებს. მათ ეშინიათ, რომ გაერთიანებულ პროფორგანიზაციაში, როცა ერთმანეთს პირის პირ შეხვდებიან კომუნისტები და სოციალ-შემთანხმებელნი, უკანასკნელთა მოღალატეობა მუშათა მასსების წინაშე საბოლოოდ გამოაშკარავდება და ისინი მათ თვალში ყოველგვარ გავლენას და ნდობას დაჰკარგავენ.

ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნის, ბ. უდეგესტის გამოსვლაც პერსელის და ჩვენი კავშირების წინააღმდეგ, უმზგავსო და ამასთან სასაცილო პირობების წამოყენება საბჭოთა კავშირების ვითომდა ამსტერდამის გაერთიანებაში შესვლისათვის (თითქოს მან არ იცოდეს, რომ ლაპარაკია არა ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლაზე, არამედ პროფინტერნის, ამსტერდამის კავშირების და ყველა პროფორგანიზაციების ერთ ინტერნაციონალში გაერთიანებაზე),—აგრეთვე მოწმობს, რომ პროფმოძრაობის მემარჯვენე ფრთა, მისი ხელმძღვანელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩაშალონ მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისაკენ მიმართული ცდა.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ თვით ამსტერდამის გაერთიანებაში დიდ შეხლა-შემოხლას აქვს ადგილი ხსენებულ საკითხის გამო, ყოველ შემთხვევაში ამ „კეთილშობილ ოჯახში“ ყველაფერი ისე არ არის როგორც ეს სურთ ბ. უდეგესტებს. ამსტერდამის ინტერნაციონალში თანდათან ძლიერდება მემარცხენე მიმდინარეობა, რომელიც აქტიურად იცავს მთლიანობის იდეას და დგას კლასთა ბრძოლის პოზიციაზე. გავიხსენოთ ჰულის კონგრესი, სადაც გამოაშკარავდა ინგლისის ტრედ-იუნიონების გამემარცხენების პროცესი. ამასვე მოწმობს პერსელის დელეგაციის გამოსვლები. ხოლო ინგლისის პროფკავშირები ერთი უმთავრესი ძალაა ამსტერდამის ინტერნაციონალის. გარევოლიუციონერების პროცესი წარმოებს სხვა ქვეყნების პროფორგანიზაციებშიც, მათ ქვედა ფენებში.

ეს გარემოება გვიჩვენებს იმ გზას, თუ როგორ შეიძლება პროფმოძრაობის მთლიანობის განხორციელება. ეს მოხდება პროფკავშირებში დარაზმულ ფართე მასსების ამოძრავებით ამ საკითხის გარშემო. მთლიანობის აღდგენა მოსახერხებელია უმთავრესად ქვევიდან, სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირთა მასსების ერთმანეთთან დაახლოების გზით.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ის ცნობა, რომელიც გუშინ გვქონდა გამოქვეყნებული. ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე ფრთა 2 იანვარს ლონდონში იწვევს პროფკავშირების უბრალო წევრების სრულიად ინგლისის კონფერენციას. კონფერენციის მიზანია დახმარების გაწევა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოქმედების კომიტეტისათვის (მისი დაარსება გადაწყდა ჩვენი კავშირების მეექვსე ყრილობაზე), რომელიც მოეწყო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლის მიზნით.

კონფერენციის მეორე ამოცანა წარმოადგენს პროფკავშირის ყველა წევრების გაერთიანება მუშათა კლასის ინტერესებისათვის გაბედულ ბრძოლის პლატფორმაზე.

კონფერენციაზე მოწვეული არია პროფკავშირთა ორივე ინტერნაციონალის, აგრეთვე ცალკე ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლები.

ამგვარად, იწყება რეალური ბრძოლა მშრომელი მასსების დასარაზმავად მთლიანობის იდეის გარშემო. დღევანდელი მდგომარეობა რეაქციის თარეში ევროპაში, აიძულებს პროფკავშირების ქვედა ფენებს შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები მსოფლიო მასშტაბით. ამსტერდამის მეთაურები ბოლოს-დაბოლოს იძულებული გახდებიან ანგარიში გაუწიონ ამ მასსების რევოლიუციონურ სულიერ განწყობილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უხეირო „ლიდერები“ უჯაროდ, თავის ანაბარა დარჩებიან, მათ ულმობლად წალეკავს მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის ტალღა.

თბილისის საქალაქო ბანკი

ხშირად გვესმის პასუხისმგებელ ამხანაგების ავანიც კი, რომ ამჟამად „აღებულია გეზი“ ყველაფრის უარყოფისაკენ. ისინი გვიცხადებენ, რომ ჩვენი კრიტიკით და „ახალი კურსით“ ჩვენ ხელს უშლით მათ მუშაობას ამასთანავე მათ ავიწყდებათ მთავარი და სახელდობრ ის, რომ ჩვენი მიზანია—ხელი შეუშალოთ უპასუხისმგებლო ნაბიჯებს საბჭოთა აღმშენებლობაში.

ისინი სასტიკად სცდებიან და ამასთანავე არაკეთილსინიდისიერად ამახინჯებენ ჩვენს კრიტიკულ მუშაობას, ჩვენი თვალყურის დევნებას.

მათ არ ძალუძთ გაიგონ, რომ ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ ყველაფერს, არამედ ჩვენ ვდგევართ მუშათა და გლეხთა ინტერესების სადარაჯოზე და ყველას ვაფასებთ ღირსეულად.

ნათქვამის დასამტკიცებლათ მივმართოთ ფაქტებს და უწინარეს ყოვლისა თბილისის საქალაქო ბანკის მოღვაწეობას.

დეე თვით ფაქტები და ციფრები ალაპარაკდენ და გასცენ პასუხი დასმულ კითხვაზე.

ეს ბანკი, როგორც იტყვიან, აღმოცენდა ძალიან გაჭირვებულ ფინანსიურ პირობებში; მას ჰქონდა სულ 125.000 მანეთი, თანხა ძალიან მცირე, თუ მივიღებთ მხედველობაში მის წინაშე დასმულ ამოცანებს. მთავარ მონაწილეთ მას ჰყავდა თბილისის საბჭო, რომლის გადასახადები შეადგენდა ძირითად თანხის 98 პროცენტს. ეს თანხა 1 ოქტომბრისათვის გაიზარდა 500.800 მანეთამდე. განსხვავება, როგორც ხედავთ, დიდია.

ბანკის და მის დამაარსებელთა მთავარ ამოცანას შეადგენდა, რათა შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოთ ქალაქის სავაჭრო საფინანსო ცხოვრების აღდგენისა და განვითარებისათვის კრედიტები გაეხსნათ თბილისის და მისი რაიონების საცხოვრებელ სივრცის აღსადგენად და გასაფართოებლად; ბანკი ახმარს საშუალებებს თბილისის კომუნალურ მეურნეობის საჭიროებებს და ემსახურება ადგილობრივ ვაჭრობის და მრეწველობის ინტერესებს.

ამოცანა, როგორც ხედავთ, არც ისე პატარაა, განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველებაში მცირეოდენ რესურსებს, რომელზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ.

და ბანკი, უნდა ვსთქვათ მის სასახელოთ, სავსებით ასრულებდა თავის ამოცანას, ხელმძღვანელობდა რა მუშაობაში საქმისადმი მოხერხებულ მიდგომით.

ვინაიდან ეკონომიურ ცხოვრების აღდგენა და განვითარება ბანკისათვის, როგორც უახლოესი ამოცანა მიუღწეველია, ბანკი ჯერ ხელს ჰკიდებს ქალაქის საცხოვრებელ სივრცის შექმნას და აღდგენას, ე. ი. უბრალოთ რომ ვსთქვათ, ეწევა ძვირფას შენობების შეკეთებას და ახალ სახლების მშენებლობას, ამისათვის კი ის კრედიტებს აძლევს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

მაგრამ ხომ იშვიათი შემთხვევა არ არის, როცა რომელიმე სახელმწიფოებრივი ორგანო ვერ ამჩნევს იმასაც კი, რაც მის ცხვირის წინ არის. ისინი ვერ ხედავენ თავის სამშობლოს მატერიალურ სიმდიდრეს, ხელს იშვერენ საზღვარ-გარეთისაკენ. და მოგვაგონებენ ჩეხოვის „სამ დას“, რომლებიც მუდამ მოსკოვზე ოცნებობენ და ილტვიან იქითკენ.

თბილისის ბანკმა კი ერთბაშად ჩასჭიდა ხელი საქმეს.

ბანკის ხელმძღვანელთა პრაქტიკულ უნარის წყალობით, ბანკი დაადგა სწორ, რაციონალურ გზას, რომელსაც საკრედიტო დახმარებას უწევდა სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა.

ყველამ იცის, თუ როგორც გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი ქალაქის მეურნეობა იმპერიალისტურ ომის და მენშევიკების ბატონობის შემდეგ. ქუჩებში ორმოები და სიბინძურე, ტრამვაი—დანგრეული, ხოლო ქალაქის განათება და წყალსადენი უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საჭირო იყო „ნატურალურ მეურნეობის“ მდგომარეობაში მოყვანილი ქალაქის საქმე აყვანილი ყოფილიყო თუნდაც ომის წინა დროის მდგომარეობამდე.

ამ მიზნით ბანკი იჭერს ურთიერთობას საწარმოო და სამრეწველო დაწესებულებებთან როგორც მაგალითად: ურალის სამთომადნო სინდიკატთან. „ურალ-მეტთან“, იღებს მათგან სხვადასხვა საამშენებლო მასალას, სახურავ რკინას, ლურსმანს, მავთულს და სხვა. აწარმოებს სავაჭრო-საკრედიტო ოპერაციებს „ხიმუგოლ“-თან, საფეიქრო სინდიკატთან და სხვა.

თუ გადავათვალიერებთ ამ ოპერაციებს, ჩვენ დავინახავთ, რომ ბანკი უწევს სამსახურს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს აღნიშნული ადგილებიდან მიღებულ საქონლით.

სხვადასხვა კოოპერატივები, ცენტრალური სატრანსპორტო სამმართველო, საქართვ. სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა, სომხეთის სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ლითონის განყოფილება, ამიერკავკასიის რკინის გზათა სამმართველო, ქალაქის აღმასკომი, მუშათა მთლიანი კოოპერატივი და სხვა—აი ის ორგანიზაციები, რომელთანაც საქმე აქვს თბილისის ბანკს.

ყველა ამ დაწესებულებებს აძლევს კრედიტებს ბანკი და იტოვებს წაღებულ მასალის და საქონლის ღირებულების მხოლოდ 15 პროც. ბანკის ანგარიშიდან სჩანს, რომ მთელი პროდუქციის 90 პროც. გაყიდულია სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებზე, მხოლოდ 10 პროც. კერძო მყიდველებზე.

საიმედოთაა დაყენებული გაყიდვის საქმე.

„ზედდართული“ ხარჯები მინიმუმამდეა დაყვანილი და საქონლის უმრავლესობა იყიდება პრეისკურანტების ფასების მიხედვით.

ძალიან დიდი შრომა დასჭირდა ბანკს იმისათვის, რომ გადაერჩინა მყიდველები კერძო ვაჭრის ბრჭყალებისაგან და დაეახლოვებია ბანკისათვის.

მთელ თავის შემოსავალს ბანკი ახმარდა თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობას აძლევდა რა ამას მთელი თავისი აქტივის 47 პროც., რაც შეადგენს 625.435 მან.

სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებანი იღებდენ ბანკის ბალანსის 22 პროც. და კრედიტების გაცემა თანდათან იზრდებოდა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი მთელი საბანკო მუშაობის განვითარებაში ითამაშა აღმასკომის პრეზიდიუმმა და ბანკის საბჭომ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად თბილისის ბანკს საპატიო ადგილი უჭირავს სხვა ამგვარ დაწესებულებათა შორის. ტყუილ-უბრალოთ კი არ დაუკავშირდა მას ფედერაციაში ყველაზე დიდი მოსკოვის ბანკი.

ჩვენი ფინანსისტების და მეურნეებისათვის თბილისის ბანკი საუკეთესო პრაქტიკული გაკვეთილია იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაონ მათ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების, მისი ფინანსების და ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

ხ. ხენოიანი.

მავნე ილიუზია

(ამხ. ს. დოლიძის წერილის გამო)

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ყოფილ ძველი მენშევიკ მუშის ამხ. ს. დოლიძის „საჭირო განმარტება“.

ამხ. დოლიძეს, გულწრფელად სურს თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, ამავე დროს შესაძლებლად მიაჩნია „შერიგება რუსეთსა და საზღვარ-გარეთ მყოფ ამხანაგებთან“ და ამ მიზნით ის კერძოდ საჭიროდ აღიარებს „მუშათა კომისიის“ გაგზავნას ევროპაში.

ამ „შერიგების სურვილს“ ამხ. ორჯონიკიძემ ერთ-ერთ კრებაზე უწოდა „ბავშვური გულუბრყვილობა“. ამხ. ს. დოლიძე თავის „საჭირო განმარტება“-ში არ ეთანხმება ასეთ დახასიათებას და სდგას „შერიგების“ შესაძლებლობის თვალსაზრისზე.

ვინაიდან ამხ. დოლიძესავით, შეიძლება, ზოგიერთი სხვა ყოფილი მენშევიკი მუშებიც აზროვნებენ,—ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ამ მავნე ილიუზიაზე.

თუ საზღვარ-გარეთ მყოფი მენშევიკები ილაშქრებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამხ. დოლიძის აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი, თურმე, ნუ იტყვით, ყოფილა ყალბი ინფორმაცია საქართველოს სინამდვილის შესახებ. ამხ. დოლიძე გადმოგვცემს, რომ „დღეს ევროპის ყველა ქვეყნები, ყველა ქალაქები სავსეა რუს რეაქციონერებით. ამათ აქვთ აუარება გაზეთები. ყველა მათში იბეჭდება მეტად გაბერილი ან კომუნისტებისათვის დამამცირებელი ცნობები. ჟორდანია და მისი ამხანაგები ემყარებიან ამ ცნობებს“.

რომ ევროპაში ბლომად მოიპოვებიან არა მარტო რუსი რეაქციონერები, არამედ ქართველი რეაქციონერებიც, — ეს ყველამ ვიცით. რომ მათი გაზეთები მხოლოდ სიცრუეს სწერენ საბჭოთა სინამდვილის შესახებ, ესეც ძველი ამბავია.

მაგრამ სასაცილოა, მართლა ბავშვური გულუბრყვილობაა იმის თქმა, რომ ჟორდანია და კომპანია მსხვერპლი შეიქნა ყალბი ინფორმაციის: თვითონ საზღვარ-გარეთ გადახვეწილ ქართველ კონტრ-რევოლიუციონერებს უპირველესი ადგილი უჭირავთ საბჭოთა ხელისუფლების, კერძოდ საქართველოს სინამდვილის შესახებ სულელური ჭორების გავრცელების საქმეში. და ამას ისინი სჩადიან არა იმიტომ, რომ საშუალება არა აქვთ მიუდგომლად გაეცნონ ჩვენს სინამდვილეს, არა იმიტომ, რომ ისინი ვინმეს მიერ შეცდომაში არიან შეყვანილი, არამედ მხოლოდ და მარტო იმიტომ რომ ისინი განზრახ ამახინჯებენ ჩვენში არსებულ მდგომარეობას, აკოწიწებენ სიცრუის ხუხულას, რადგან ესაა მათი ერთადერთი „იარაღი“ საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად.

თვით ამხ. დოლიძეც აღიარებს ამას უნებლიედ. იგი სწერს: „მუშათა კომისიაში განაცხადა ერთმა ამხანაგმა შემდეგი: არალეგალური მუშაობის დროს მე მივაწოდე ჩვენს ცეკას ერთი ცნობა, რომელიც ცოტა არ იყოს, მევე გავბერე, ეს ცნობა გაგზავნილ იქნა საზღვარ-გარეთის ბიუროში. როცა ესევე ცნობა მე წავიკითხე შემდეგ „თავისუფალ საქართველოში“, ის ისე **აღარ ჰგავდა ჩემს მიცემულ ცნობას, როგორც ცა და დედამიწას**“ (ხაზგასმა ჩვენია X). ამგვარად, უცხოეთში მყოფი მენშევიკები თვით წარმოადგენენ ყალბი ინფორმაციის წყაროს, თვით თხზავენ ათასგვარ ჭორებს და ამ გზით ებრძვიან საბჭოთა ხელისუფლებას. ნამდვილი ცნობები ჩვენი მდგომარეობის შესახებ სრულებით არ არის ხელსაყრელი მათი კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის და ამიტომაც განზრახ იბრმავებენ თვალებს.

საჭიროა განთავისუფლება იმ ბავშვური გულუბრყვილობიდან, თითქო შესაძლებელი იყოს ერთ და იმავე დროს „გულწრფელი მუშაობა“ საბჭოთა ხელისუფლებასთანაც და ჟორდანიასთან „შერიგებაც“. ეს აშკარა და გარდუვალი წინააღმდეგობაა. ჟორდანია თავისი „ამალით“ განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიტომ, რომ იგი შეურიგებელი მოწინააღმდეგეა მშრომელთა დიქტატურის და პროლეტარულ რევოლიუციის, ის ცდილობს აღადგინოს ბურჟუაზიული წყობილება და ჩვენი ქვეყანა იმპერიალისტების კლანჭებში მოაქციოს. აკი „მუშათა კომისიის“ გაზ. „ახალი გზაც“ (№ 1) აღიარებს, რომ თუ ჟორდანია მოხსნის დღის წესრიგიდან აჯანყების საკითხს, ამას იგი ჩაიდენს ტაქტიკური და არა პრინციპიალური მოსაზრებით, ე. ი. აჯანყების მოსაწყობად დღეს მას პირობები და საშუალება არ გააჩნია, ხოლო საერთოდ ის კვლავ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის პოზიციაზე იდგომება. როგორ შეიძლება ასეთ ხალხთან „შერიგებაზე“ ლაპარაკი!

„ახალ გზაში“ იგივე ამხ. დოლიძე სხვათაშორის სწერს: „ჩვენ არც ჩვენი წარსულის უნდა გვეთაკილებოდეს... **მუშათა მენშევიზმს არ სცხია ჩირქი**“ (ხაზგასმა ჩვენია X). მენშევიზმი, მუშათა იქნება თუ ინტელიგენტური,—არსებითად ერთი და იგივეა. იგი უარყოფაა მშრომელთა დიქტატურის იგი საბოლოოდ გაკოტრებულია. საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, მუშათა კლასის საქმის სამსახური ჰგულისხმობს ყოველგვარი მენშევიზმისაგან გამიჯვნას, მისი ნაშთების მოშორებას.

აგრეთვე გვინდა შევეხოთ ერთ ადგილს „საჭირო განმარტებიდან“. ამხ. დოლიძე სწერს: „პირადათ ჩემზე არაა საქმე. მე კიდევ ვაცხადებ, რომ უკვე მიღებული მაქვს თქვენი ხაზი ვცნობ მუშათა დიქტატურას და ვდგები მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. მაგრამ ერთი, ორი, ათი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“ (ხაზგასმა ჩვენია. X.)

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დოლიძისთანა მუშები მალე დასძლევენ მენშევიზმის ნაშთებს, რომლებზეც ზევით ვილაპარაკეთ და საბოლოოდ მოვლენ ჩვენთან. თავის მხრივ პარტია, ხელისუფლება ამისათვის იღებს ყოველგვარ ზომებს.

რაც შეეხება „ერთ, ორ, ათ მერცხალზე“ ლაპარაკს, აქ, რა თქმა უნდა, დიდი ფაქტიური შეცდომაა. თორმეტი ათასი და მრავალი სხვა ყოფილი მენშევიკ მუშების დადგომა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, ამის წინააღმდეგ მეტყველებს.

ამით ჩვენ არ უარვყოფთ, რომ დღესაც არის დარჩენილი ნაწილი მუშების, რომელნიც ჩამოსცილდენ მენშევიზმს, მაგრამ ერთგვარ გაურკვევლობას კიდევ განიცდიან.

ჩვენს ამოცანას შეადგენს მათი სრული კლასობრივი გამოფხიზლება, მათი საბოლოო განთავისუფლება მენშევიზმის ნაშთებისაგან და საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმა.

ამ საქმეში „მუშათა კომისიას“ და გაზ. „ახალ გზას“ შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

X.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობებით)

გერმანიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი

რესპუბლიკების ლიგის ბანკეტზე მილიერანმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა ერრიოს პოლიტიკის წინააღმდეგ.

იაპონიაში უკმაყოფილო არიან ინგლისის მიერ სინგაპურში საზღვაო ბაზის მოწყობის განზრახვით.

პოლონეთში დაიწყო იმ გლეხების გასამართლება, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ პარტიზანულ გამოსვლებში.

ბალდვინმა განაცხადა, რომ დოუესის გეგმა იხსნის ევროპასო.

ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ ინგლისი ჯერ კიდევ პრაქტიკულად არ იცნობს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობას.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ისევ შტრეზემანი.

ბერლინი. 17 დეკემბერი. ებერტმა კაბინეტის შედგენა დავალა შტრეზემანს. შტრეზემანმა მოითხოვა ერთი დღის ვადა. პოლიტიკურ წრეებში შტრეზემანისათვის კაბინეტის შედგენის დავალებას უკვირიან, როგორც ბურჟუაზიული მთავრობის შედგენის ცდას.

შტრეზემანმა უარი სთქვა.

ბერლინი. 18 დეკემბ. შტრეზემანმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე, სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მიიღო შემდეგ რეზოლიუცია: „ერთად-ერთ გამოსავალს კრიზისიდან წარმოადგენს ბურჟუაზიული უმრავლესობიდან მტკიცე მთავრობის შექმნა“.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ლონდონი, 17 დეკ. სავაჭრო წარმომადგენლობაში გამართულ ბანკეტზე სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა რაბინოვიჩმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც უარჰყო ლონდონის გაზეთების მტკიცება, თითქოს ინგლისში თავმოყრილი იყოს 800 კომუნისტი აგიტატორი.

ბანკეტს დაესწრო პარლამენტის წევრი ლიბერალი კენვორტი, რომელმაც განაცხადა: „თუ ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, მაშინ აუცილებლად მეგობრული ურთიერთობა უნდა არსებობდეს ინგლისსა და რუსეთს შორის“.

რაკოვსკიმ აღნიშნა, რომ ინგლისსა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის უმთავრეს საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ნდობა ურთიერთისადმი. საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცა, რომ მას სურს დააკმაყოფილოს ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა მოთხოვნილებები. ეს სურვილი მან გამოხატა იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც დადებული იყო ინგლისის წინანდელ მთავრობასთან.

რაკოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის ხალხმა პრაქტიკულად არაფერი არ იცის საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

იაპონია უკმაყოფილოა

რომი. 18 დეკემბერი. იაპონიის პრესა სასტიკად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს საზღვაო ბაზის შექმნა სინგაპურში; პრესა აღნიშნავს, რომ ეს ეწინააღმდეგება ვაშინგტონში მიღწეულ შეთანხმებას საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ. იაპონიის პრესა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ბაზის მოწყობა აუცილებლად გამოიწვევს შეიარაღების გადიდებას.

ფაშისტური ტერორი ესპანეთში



ბლასკო იბანიესი

გენერლების სასამართლო

პარიზი. 18 დეკემბერი. დე-რივერამ (ესპანეთის დიქტატორი—ფაშისტი გენერალი) წინადადება მისცა ცნობილ ესპანელ მწერალს ბლასკო იბანიესს წარსდგეს სამხედრო სასამართლოს წინაშე. ბლასკო იბანიესი მიცემულია პასუხისგებაში იმიტომ, რომ მან გამოაქვეყნა ბროშიურა ესპანეთში არსებული ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ.

ცნობილმა ესპანელმა მწერალმა ბლასკო იბანიესმა ამას წინად გამოუშვა ბროშიურა, რომელშიც ამჟღავნებდა ესპანეთის მეფე ალფონსის „საიდუმლოებებს“. ბროშიურაში ნათქვამი იყო, რომ მაროკოს ავანტიურის გაგრძელებაში დაინტერესებულია მეფე ალფონსი, რომელიც დიდ მოგებას იღებს თავისი გემებით მაროკოში სამხედრო იარაღების და სურსათ-სანოვაგის გატანაში. რასაკვირველია—ამბობს ბლასკო იბანიესი თავის ბროშიურაში—ომის წარმოება ხელსაყრელია ალფონსისათვის, რომელიც თავისი გემების საშუალებით სხვის უბედურებაზე აწყობს თავისი ჯიბის საქმეს.

ბლასკო იბანიესი აგრეთვე სასტიკად ილაშქრებს ფაშისტ-დიქტატორის გენერალ პრიმა დე რივერას წინააღმდეგ.

ცხადია, რომ ესპანეთში გაბატონებულ ფაშისტებს არ მოეწონათ მათი „საგარეო საქმეების“ გამჟღავნება. ამიტომ ცნობილი მწერალი მათ სამხედრო სასამართლოში მისცეს.

მილიერანის იერიშები

რომი. 18 დეკემბ. ნაციონალურ-რესპუბლიკანურ ლიგის მიერ გამართულ ბანკეტზე პარიზში საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა მილიერანმა განაცხადა, რომ ერრიო აწარმოებს დამღუპველ პოლიტიკას, რომელსაც მოჰყვება საფრანგეთის არმიის და ფინანსების განადგურება. ერრიოს პოლიტიკა საფრთხეს უქადის თვით საფრანგეთის არსებობას. მილიერანის სიტყვით, მაისში არჩევნების წინ საფრანგეთის მდგომარეობა საუკეთესო იყო. რურში საფრანგეთს თავისუფლად შეეძლო გერმანიის რკინისგზები ხელში ჩაეგდო. ამ ჟამად ხელმოწერილია მხოლოდ ერთი ჟენევის ოქმი, რომელიც სხვა არაფერს წარმოადგენს გარდა ცარიელ დაპირებისა. ამას გარდა ცხოვრებაში ტარდება დოუესის გეგმა, რომელსაც შეუძლია მოჰყვეს რაიმე შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიამ გადაიხადა ვალები, რაც მეტად საეჭვოა.

დოუესის გეგმის მონები

ლონდონი. 18 დეკ. თემთა პალატაში ბალდვინმა პასუხი გასცა პოლკოვნიკ ვ. ჯეუდის (ლიბერალური პარტიის წევრის) შეკითხვას და განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ინგლისის საიმპერიო ვაჭრობის განვითარებას. ბალდვინის სიტყვით, ინგლისის ყოველი მთავრობა ხელს უნდა უწყობდეს ევროპაში ეკონომიური მდგომარეობის შექმნას.

ის ფიქრობს, რომ დოუესის გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს ცენტრალური ევროპის ეკონომიური მდგომარეობის გაჯანსაღებას და რომ ევროპაში ნორმალური პირობების შექმნის საქმე ეხლა უფრო გაადვილებულია, ვიდრე ეს იყო ერთი წლის წინ.

ჩვენი მეურნეობის ზრდა

ფულის რეფორმის გავლენა

მოსკოვი. 18 დეკ. 17 დეკემბერს საღამოს გაიხსნა სახელმწიფოებრ. მრეწველობის და ვაჭრობის საბჭოს პლენუმის სხდომა.

საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტოლოკონცევმა გააკეთა მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ მიმდინარე წლის თებერვლის პლენუმის შემდეგ.

მოსმენილი იქნა სმილგას და დანიშევსკის მოხსენებანი.

სმილგამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ გასული წელი იყო სერიოზულ სამეურნეო მიღწევების წელი.

მომხსენებელმა მოიყვანა ცნობები, რომელიც ნათელყოფენ მეურნეობის ყველა დარგების ზრდას და აღნიშნა, რომ ჩვენს ეკონომიურ წინსვლას და სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტების ფასების შეთანასწორებას თან სდევს ფულის ტრიალის გაჯანსაღება.

ახალი წლის ამოცანები და პერსპექტივები უნდა გამომდინარეობდეს იმ წინასწარ პირობიდან, რომ მომავალ წელში პურის ფასები მაღალი იქნება. მომავალი წელი შედარებით მძიმე იქნება მაგრამ ჩვენი მრეწველობა აუცილებლად კიდევ უფრო განვითარდება. ეს აიხსნება იმით, რომ გლეხის ბაზარი არაა სავსებით დაკმაყოფილებული, წარმოება ფართოვდება, ფასები კლებულობს.

ბოლოს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შარშანდელ წლის ანალიზი და ანალიზიდან გამოყვანილი დასკვნები დაახლოვებითია, მაგრამ საერთო პირობები ასეთია: გასულ წლის განმავლობაში ჩვენ სახალხო მეურნეობაში მივაღწიეთ დიდ წარმატებას და აღმდგენლობითი პროცესი გრძელდება.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია.

მოსკოვი. 18 დეკ. 17 დეკემბერს დილით რიგაში ჩავიდა ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია. დელეგაციამ ისაუზმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის შენობაში. დელეგატები აღფრთოვანებით იგონებდენ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში, მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირის მშრომელთ გულთბილი მიღებისათვის და სთხოვეს საბჭოთა წარმომადგენელს მხურვალე სალამი გადასცეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს. დელეგაცია ბერლინს გაემგზავრა.

ლატვიის ახალი მთავრობა.

მოსკოვი. 18 დეკ. ლატვიის სეიმის გუშინდელ სხდომაზე გამოქვეყნდა ახალი კაბინეტის სია: პრემიერი—ზელმანი, საგარეო საქმეთა მინისტრი—მეეროვიცი, შინაგან საქმეთა მინისტრი—პოლკოვნიკი ლაიმინში, სამხედრო—პოლკოვნიკი ბანგერსკი. სეიმმა 49 ხმით 37 წინააღმდეგ (ხუთმა თავი შეიკავა) ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას.

ებერტი—მუშების მოღალატე

ბერლინი 18 დეკემ. სასამართლოს სხდომაზე, რომელიც იხილავს ებერტის შეურაცხყოფის საკითხს გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

პოლიტიკური პოლიციის ყოფ. უფროსი ბერლინში ხენიგერი აცხადებს, რომ გაფიცვამ სერიოზული ხასიათი მიიღო მხოლოდ სოციალ-დემოკრატების ჩარევის შემდეგ.

მოწმე ხენნერი, პოლიციის მოხელე, უარყოფს თითქო პოლიციის ჩარევამ გაართულა გაფიცვა. მოწმე ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატების ჩარევა წარმოადგენდა მხოლოდ ტაქტიკურ მანევრს სოციალ-დემოკრატების მხრივ: სოციალ-დემოკრატებს ეშინოდათ, რომ გაფიცვიდან განზე გადგომა გააძლიერებს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების გავლენას.

მოწმე ბროლატი ამბობს, რომ მას ისე, როგორც სხვა მრეწველებს სურდა გაფიცვაში სოციალ-დემოკრატების ჩარევა, რომ თავიდან აეცილებიათ უბედურება.

მოწმე იგონებს, რომ გაფიცულთა მიტინგზე ებერტს უძახოდნენ მუშების მოღალატე!

რენეგატის ბაქი-ბუქიაობა

პარიზი. 19 დეკემბერი. საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა მილიერანმა ნაციონალ-რესპუბლიკანური ლიგის სხდომაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განმარტა ახალი ნაციონალური ბლოკის პროგრამა, მან სასტიკად გაილაშქრა პროგრესიული ბლოკის წინააღმდეგ და მოუწოდა ყველა ჯურის რესპუბლიკანელებს ბრძოლისაკენ ერრიოს წინააღმდეგ, რომელიც მილიერანის სიტყვით, სოციალისტების გავლენის ქვეშ იმყოფება. მილიერანი თავს დაესხა კომუნისტებს და სთქვა: ბოლშევიზმი ეს არის სამოქალაქო ომი, რომელიც მიზნად ისახავს ბურჟუაზიის მოსპობას. მილიერანმა დაუმატა, რომ საფრანგეთი ვერაფერს ვერ მოიგებს საბჭოთა კავშირის ცნობით.

მილიერანმა ასე დაათავა თავისი სიტყვა: ვინ დააბრმავა ასე მთავრობა, რომ მან ნება დართო პარიზის ცენტრში აღემართათ წითელი დროშა ნამგლით და ჩაქუჩით—რევოლიუციის სიმბოლო.

მთელი რეაქციონური პრესა ესალმება მილიერანის დაბრუნებას პოლიტიკურ ასპარეზზე.

მთავრობის პრესა დასცინის ნაციონალური ბლოკის აღდგენის ცდას.

ჰანრი ჰილბოს შესახებ.

პარიზი. 19 დეკემბერი. დეპუტატთა პალატამ უარი სთქვა ჰანრი ჰილბოს ამნისტიაზე.

მუშების გაფიცვა საფრანგეთში

პარიზი. 18 დეკ. ვინაიდან მწარმოებლებმა უარი სთქვეს შრომის ხელფასის გადიდებაზე, სამხრეთ-საფრანგეთის ნავთსადგურების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

საფრანგეთის ელჩი მოსკოვში

პარიზი. 18 დეკ. გამოქვეყნდა პრეზიდენტის დეკრეტი ჟან ერბეტის მოსკოვში ელჩად დანიშვნის შესახებ.

გერმანიაში მთავრობას „დაეძებენ“.

ბერლინი. 18 დეკემბ. ცენტრის პარტიამ გამოიტანა რეზოლიუცია მთავრობის შედგენის შესახებ: ფრაქცია პრინციპიალურად მხარს უჭერს მთავრობის შექმნას ფართე წარმომადგენლობის საფუძველზე. ფრაქცია გადაჭრით უარს ამბობს მემარჯვენე კოალიციაში შესვლაზე და მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ იმ მთავრობაში, რომელიც უცვლელად განაგრძობს იმ პოლიტიკას, რომელსაც მარქსის კაბინეტი აწარმოებს.

ამნისტია ჟაკ სადულზე.

პარიზი. 18 დეკ. დეპუტატთა პალატამ ამნისტია გაავრცელა კომუნისტ ჟაკ სადულზე.

ორშაბათს ა. წ. 22 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე
წითელ თეატრში
(ყოფილი ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში)
დანიშნულია თბილისის საბჭოს
მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი: 1) ადმინისტრაციულ განყოფილების ანგარიში.
2) მიმდინარე საკითხები.

სხდომის დამთავრების შემდეგ წითელ თეატრში საბჭოს წევრებისათვის პროლეტკულტის მიერ გაიმართება წარმოდგენა.

დასწრება საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ნის. 404. 2—1 პრეზიდიუმი.

სხვა და სხვა ამბები

—**მაკდონალდის გასტროლები.** ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, მაკდონალდს განზრახვა აქვს 29 დეკემბერს გაემგზავროს ვესტინდოეთში და პანამაში; მაკდონალდი ინგლისში დაბრუნდება მხოლოდ თებერვალში.

—**აჯანყება მაროკოში.** მადრიდიდან ატყობინებიან, რომ მაროკოში ესპანეთის ჯარების ზურგში დაიწყო იმ კაბილების აჯანყება, რომლებიც ძამდე ესპანეთის მოკავშირეებათ ითვლებოდენ. ორანიდან მიღებულ ცნობებით, აჯანყება დაიწყო აგრეთვე საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე მაროკოში. ფეცის რაიონში ადგილი ჰქონდა შეტაკებას ჯარებსა და აჯანყებულებს შორის.

—**მდგომარეობა ჩინეთში.** კალგანში აჯანყდა გარნიზონი და დაარბია ფოსტა და ბანკი. მრავალი შენობები იწვის. ევროპიელთა კოლონია მოითხოვს დახმარებას. კალგანში გაიგზავნა ამერიკელ მეზღვაურთა ეშელონი.

—**ლონდონ-ბერლინი.** განზრახულია პირდაპირი სატელეგრაფო დამოკიდებულების დამყარება ლონდონსა და ბერლინს შორის. ამ მიზნით, ნიდერლანდები გერმანიას უთმობენ ზოგიერთ მიწისქვეშა კაბელებს.

—**სიცივე.** კანადის პროვინციებში არაჩვეულებრივი სიცივეები დაიწყო. ბატავიაში 27 გრადუსი ყინვაა.

—**ფაშისტების „ბეჯითობა".** ესპანეთის მთავრობის ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია დეკრეტი ცნობილი ესპანელი რომანისტის ვიცენტე ბლასკო იბანიესის სამხედრო სამართალში მიცემის შესახებ; იბანიეს ასამართლებენ იმ ბროშიურის გამოქვეყნებისათვის, რომელიც შეიცავს მეფე ალფონსის და დირექტორიის შეურაცხმყოფელ სიტყვებს.

—**ქარხნების დახურვა.** შარლუაში (ბელგია) 1 იანვრიდან დაიხურება ლითონის დამმუშავებელი 12 ქარხანა.

—**მდგომარეობა ალბანეთში.** მეამბოხეთა მოძრაობა ალბანეთში თანდათან ფართოვდება. ქალ. ტირანის დაცემა აუცილებელია.

—**„ახალი კონსტიტუცია".** ესპანელი კონსერვატორების ბელადი ანტონიო მაურა ესპანეთისათვის ადგენს ახალ კონსტიტუციას, რომელიც გავს შეერთებული შტატების და შვეიცარიის კონსტიტუციას.

—**პრუსიის ლანდტაგში.** პრუსიის ლანდტაგი გაიხსნება 5 იანვარს, ამიტომ პრუსიის ახალი მთავრობის შემადგენლობის საკითხი გადაწყვეტილი ვერ იქნება ლანდტაგის მოწვევამდი.

—**საფრანგეთის მაროკოში.** საფრანგეთის საზღვარზე მაროკოში დაიწყო მღელვარება. ფეცის რაიონში ადგილი ჰქონდა სისხლისმღვრელ შეტაკებას რეგულიარულ ჯარებსა და ინსურგენტებს შორის.

—**ერრიოს ჯანმრთელობა.** ერრიოს ჯანმრთელობა გაუმჯობესდა. ის ამ ჟამათ თავის ბინაზე იხილავს სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის საკითხებს.

—**ბრანტინგი.** შვეციის პრემიერ ბრანტინგის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. ლეჟავას დანიშვნა.

მოსკოვი, 17 დეკემბ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გაანთავისუფლოს ამხ. ლეჟავა საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის თანამდებობიდან; მის ადგილზე დაინიშნა შეინმანი. ამხ. ლეჟავა დანიშნულია რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის მოადგილეთ.

სრულიად საკავშირო რადიო-გამოფენა.

მოსკოვი, 17 დეკემ. პირველ იანვარს მოსკოვში გაიხსნება სრულიად საკავშირო რადიო-გამოფენა. გამოფენაზე მოწყობილია შემდეგი განყოფილებები: სამეცნიერო—ისტორიული, სპეციალური მასალები რადიოს მისაღებათ და გადასაცემათ, სტატისტიკური და უცხოეთის განყოფილებები. გამოფენა გაგრძელდება ერთ თვეს.

საბჭოთა მუშაკების კავშირის ყრილობა.

მოსკოვი. 17 დეკ. 20 დეკემბერს მოსკოვში კავშირების სახლის დიდ დარბაზში გაიხსნება საბჭოთა მუშაკების კავშირის სრულიად საკავშირო მეექვსე ყრილობა.

ადგილების შენახვა მატარებელში გაუქმებულია.

მოსკოვი. 18 დეკემ. 1925 წლის 1 იანვრიდან მატარებელში ადგილები აღარ შეინახება დაწესებულებებს და ორგანიზაციებს.

სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტები ლენინგრადში.

ლენინგრადი. 18 დეკემ. იანვრის პირველ ნახევარში ლენინგრადში ჩამოვა სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი, პროფესორ კალვეს მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბორჯომის გლეხკომი.

ბორჯომი. 17 დეკემბ. ბორჯომის რაიონულმა გლეხკომმა რაიონში გახსნა რამოდენიმე სასადილო და ღამის გასათევი სახლები და აგრეთვე შეუდგა ღარიბ გლეხთა არტელების მოწყობას სატყეო სამუშაოების შესასრულებლათ.

ხონის ელექტროფიკაცია

ქუთაისი. 17 დეკემბ. ხონში დამთავრდა მიწადმოწყობის სამუშაოები და ახლო ხანში დაიწყება შენობის აგება ელექტრონის სადგურისათვის, ამ დღეებში მოსალოდნელია ბოძების და მავთულების მიღება.

აჭარისტანი.

ჯამაგირების მომატება სამაზრო მუშაკებისათვის.

ბათომი, 17 დეკ. პირველი ოქტომბრიდან ყველა სამაზრო მუშაკებს ჯამაგირი ემატებათ 15—50 პროცენტამდი.

სახელმძღვანელოები.

ბათომი, 17 დეკ. პოლიტიკური განათლების მთავარმა მმართველობამ მაზრებში დაგზავნა 5.000 სახელმძღვანელო, რომლებიც დაურიგდება მოწაფეებს.

სომხეთი

ახალი ჰიდრო-სადგურის პროექტი.

ერევანი, 17 დეკ. ცენტრალური რაიონის ელექტროტრესტმა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა პროექტი, რომელიც შეეხება ახალი ჰიდრო-სადგურის აგებას, სადგური გაანათებს ვორონცოვკა-სტეპანავანა და რაიონს.

პრესის მუშაკთა კონფერენცია.

ერევანი. 17 დეკ. პრესის მუშაკთა საქალაქო კონფერენციამ აირჩია სომხეთის პრესის მუშაკთა დროებითი ბიურო, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში უნდა მოიწვიოს პრესის მუშაკთა სრულიად სომხეთის ყრილობა.

აზერბეიჯანი

ბამბის მეურნეობათა აღწერა

ბაქო. 18 დეკემბერი. აზერბეიჯანის ბამბის მეურნეობათა მდგომარეობის გამორკვევის მიზნით გადაწყდა მოხდეს ბამბის მეურნეობათა აღწერა.

გადასახადები ნოემბრის განმავლობაში

ბაქო. 18 დეკემბერი. ნოემბერში მთელს აზერბეიჯანში შემოსულ გადასახადების ჯამი უდრის 2,252,000 მ.

სამეურნეო ფრონტზე

ბაქო. 18 დეკ. 1923—24 წლის განმავლობაში ამოღებულია 268 მილიონი ფუთი ნავთი, რაც შეადგენს ომის წინა ხანების ნორმის 58 პროც. და 122 პროც. 1922—23 წელთან შედარებით.

1914 წელში ამოღებული იყო 446 მილიონი ფუთი ნავთი.

ლენინის სახელობის საფეიქრო ფაბრიკაში დამუშავებულია ცხრა მილიონი ოთხასი ათასი არშინი ქსოვილი 11.650.000 არშინის ნაცვლად (ომამდე).

შეგროვებულია მილიონი ფუთი ბამბა, რაც შეადგენს ომის წინა ხანების ნორმის 78 პროც. და 649 პროც. წინა წელთან შედარებით მიღებულია 105.000 ფუთი აბრეშუმი 165.000 ფუთის წინააღმდეგ, რომელიც იყო ომამდი—63 პროც. წინა წელთან შედარებით—175 პროც.

მიღებულია 19.000 ფუთი ხიზილალა 24.000 ფუთის წინააღმდეგ, რომელიც ომამდი—80 პროც.

ამოღებულია მარილი—100 000 ფუთი 340.000 ფუთის წინააღმდეგ, რომელიც იყო ომამდი—82,3 პროც. წინა წელთან შედარებით 126 პროცენტი.

დათესილი მიწების სივრცე შეადგენდა ომის წინა ხანების სივრცის 105 პროც., ის უდრიდა 860.000 დესეტინას; წინა წელთან შედარებით—134 პროც. კომერციული ბრუნვა გამოიხატა 125 მილ. მანეთში. ბაქოს კოოპერაციამ დაიპყრო ნახევარი ბაზარი და ის აკმაყოფილებს მომხმარებელთა ფართო მასებს ყველა აუცილებელი პროდუქტებით და საქონლით.

დაბადების და სიკვდილის შემთხვევების სტატისტიკა.

ბაქო. 18 დეკ 1924 წლის განმავლობაში ბაქოში აღნიშნულია 7.800 დაბადების და 2.458 სიკვდილის შემთხვევა.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა ფოთში

12 დეკემბერს შესდგა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კომუჯრედების გაერთიანებული ღია კრება მრავალრიცხოვან უპარტიო მუშებთან ერთად. სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. გიგო ლომთათიძე, მდივნობდა ამხ. ა. კალანდაძე. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: მოხსენება შრომის ნაყოფიერების გაზრდის მნიშვნელობის შესახებ და ბოქაული ლავრენტი მახარაძის, კედიას და სხვათა გასამართლების შესახებ შორ. მაზრაში.

პირველი საკითხის შესახებ გაკეთებული იქნა ვრცელი მოხსენება პარტკომის წარმომადგენლის მიერ, რომელმაც ხაზი გაუსვა შრომის ნაყოფიერების დაცემის მიზეზებს მსოფლიო იმპერიალისტური ომის და თვით საბჭოთა რესპუბლიკებში სამოქალაქო ომის შედეგებთან დაკავშირებით.

შემდეგ მომხსენებელმა განმარტა ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი მომენტები და მოიხსენია საბჭოთა რესპუბლიკების თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა, აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები წარმოების დარგში და მოუწოდა მუშებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ, რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა და თავდები საბჭოთა მეურნეობის აღორძინებისათვის.

მოხსენების გარშემო ამხ. მუშებმა აღძრეს წმინდა პრაქტიკული, წარმოების ხასიათის საკითხები. საერთოდ კი მუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ საკითხის გარჩევაში. დაბოლოს ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინეს რა მოხსენება ამხ. დ. მშვენიერაძის შრომის ნაყოფიერების მნიშვნელობის შესახებ სატრანსპორტო კავშირის კომუჯრედების ღია კრება მრავალრიცხოვან მუშებთან ერთად, აღნიშნავს: საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური მდგომარეობა თანდათან წინ მიდის და მტკიცდება, ამდენადვე საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო გაეუმჯობესებია მუშების და გლეხების ეკონომიური მდგომარეობა, თავისი ენერგიული მუშაობით მოეგვარებია მეურნეობა, აეყვავებია ქალაქის წარმოება, გაეფართოებია კოოპერატიული ქსელი და მით გაეტარებია ცხოვრებაში ამხ. ლენინის ლოზუნგი „კავშირი მუშების და გლეხებისა".

ამ ლოზუნგის კიდევ უფრო მეტად ცხოვრებაში გატარებაზეა დამოკიდებული მუშების გამარჯვება. მხოლოდ გლეხებთან დაკავშირებით ჩვენ, მუშები შევსძლებთ ვსძლიოთ საერთო მტერს—ბურჟუაზიას. ჩვენი მომავალი ეკონომიური წინსვლის და წარმოების უფრო გაფართოების თავდებია შრომის ნაყოფიერების გაზრდა.

კრება აღნიშნავს შრომის ნაყოფიერების გაზრდის მნიშვნელობას და ფიცს სდებს მის დამცველ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ მუშები ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას თავის ინტენსიური შრომით და წარმოებაში სხვა დანარჩენ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გადალახვით, და ამით შეიტანენ საერთო მეურნეობაში თავის წვლილს.

გაუმარჯოს მუშების და გლეხების მჭიდრო კავშირს და ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას".

მეორე საკითხი, მეფის ჯალათების ლავრენტი მახარაძის, კედიას და სხვათა გასამართლების შესახებ, წამოიჭრა თვით მუშებში.

მუშების მიერ გამართულ იქნა მოგონებები 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობიდან, თუ როგორ იტანჯებოდა ფოთის მუშები ლ. მახარაძის მსგავს მეფის დაქირავებულ აგენტების უღელ ქვეშ. მოგონებებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა 1) ა. კალანდაძე, 2) ლომაია ვასო, 3) მახარაძე ვასო, 4) ჟუნგიაძე თეოფილე, 5) დოლიძე ონოფრე, 6) ლადიკო კალანდაძე და სხვა...

მოგონებების დროს დარბაზში მუშებს შორის ადგილი ჰქონდა დიდ მღელვარებას. მუშები გამოსთქვამდენ სურვილს, რომ ასეთივე ჯალათების გასამართლება მოხდეს ფოთშიდაც, ყველა მუშათა რაიონებში და საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც 1905 წელს ნიკოლოზის ჯალათების მიერ განადგურებულ იყო მშრომელთა კერა.

მუშებმა ამ საკითხის გამო გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ფოთის შავი და თეთრი ტვირთის უჯრედების ღია კრება უპარტიო მუშებთან თანდასწრებით დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს თვითმპყრობელობის ჯალათების გასამართლებას. ფოთის მუშებს კარგად ახსოვს ამ ვაებატონების „საქმენი საგმირონი".

ფოთის მუშები უერთდებიან შორაპნის მაზრის მუშების და მშრომელ გლეხობის გამოძახილს და მოითხოვენ მუშურ-გლეხურ სასამართლოსაგან სასტიკი მსჯავრი გამოუტანონ მათ.

მუშები სურვილს გამოსთქვამენ, რათა ასეთივე გასამართლება იქნეს ჩატარებული ქ. ფოთშიც და ყველა მუშათა რაიონებში, სადაც კიდევ მოიძებნებიან მუშების სისხლში ხელებ დასვრილი ვაებატონები".

[illegible]

ქ. სურამის კომუჯრედში

სურამის კომუჯრედი აერთიანებს 18 წევრს. უჯრედის კრებები იმართება სისტემატიურად, სადაც ირჩევა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხები. უჯრედი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კულტურულ დარგში მუშაობას. კლუბის გამგეობაში გვყავს გაყვანილი ორი ამხანაგი, რომლებიც ხელმძღვანელობენ კულტურულ წრეებს. მათი ინიციატივით ხშირ-ხშირად ეწყობა საღამოები. მაგ. ამ უკანასკნელ ხანებში გაიმართა საღამო და მთელი შემოსავალი მოხმარდა სოფ. რუსიანთ-უბანს, რომელიც შეფათ აქვს აღებული სურამის კომუჯრედს. საშეფო კომისია დიდ მუშაობას აწარმოებს რუსიანთ უბანში, კერძოდ კი ის სისტემატიურად უგზავნის მას გაზ. „კომუნისტს" და „მიწის მუშა"-ს, ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის აკეთებს მოხსენებებს გლეხობისათვის საინტერესო თემებზე, უწევს მათ მატერიალურ დახმარებას და სხვ.

ამ ბოლო დროს საშეფო კომისიას დასახელი აქვს მიზნათ თავის საშეფო სოფელში სამკითხველოს საქმე დააყენოს მტკიცე ნიადაგზე.

ამასთანავე ერთად უჯრედმა გამოჰყო კომისია, რომელსაც ევალება „წერაკითხვის" საზოგადოების შედგენის კამპანიის ჩატარება უპარტიო მასსაში. ამ საქმეში უჯრედს აქტიურ დახმარებას უწევს სურამის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი.

რაც შეეხება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის კავშირს საბჭოთა დაწესებულებებთან—საუკეთესოა. ყველა პარტიული ამხანაგები ირიცხებიან „ეპოს", მუშათა კლუბის, „რემედასის", საჰაერო ფლოტის და წითელი ჯვრის წევრებად.

უჯრედს განზრახული აქვს, რათა მომავალ გაზაფხულისათვის დაამზადოს და კოლექტიურად დაიმუშავოს ერთ-ერთი ბაღი.

აგრეთვე უჯრედი მიზნათ ისახავს მთავარი და სერიოზული ყურადღება მიაქციოს კულტურულ მუშაობას და აქტიურად ჩააბას მშრომელი უპარტიო მასები საბჭოთა აღმშენებლობაში.

პარტკორი პ. გაგნიძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

კომკავშირის რაიორგანიზაციის მუშაობა მცხეთაში

მცხეთის რაიონში კომკავშირის ორგანიზაცია არსებობს 1921 წლიდან.

ამჟამათ მთელ რაიონში არსებობს 7 უჯრედი: ერთი მუშური თვით მცხეთაში, ხოლო 6 გლეხური უჯრედი სოფლათ, რომლებიც თავიანთ გარშემო აერთიანებენ 56 წევრს და კანდიდატს.

ამ უკანასკნელ ხანებში უჯრედებთან დაარსდა პოლიტიკური წრე მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო ხელმძღვანელების უყოლობის გამო წრის მეცადინეობა საგრძნობლად მოიკოჭლებს.

მთელ რაიონში წერა-კითხვის უცოდინარია 14 წევრი.

კრებები უჯრედებში ხდება თვეში ორჯერ. ნოემბრის თვეში ჩატარებული იქნა ყველა უჯრედებში კამპანია ს. ა. ლ. კ. კ. 7 წ. და ა. კ. ი. 5 წლის თავი.

უდისციპლინობა, რომელსაც დღემდის ძაგრად ჰქონდა ფესვები გადგმული, დღეს თითქმის აღმოფხვრილია.

უპარტიო ახალგაზრდობის ლტოლვა კომკავშირისაკენ ძალიან დიდია: მაგალითად ერთ-ერთ სოფელში 27 ახალ. გლეხებმა შემოიტანეს რაიკომში კოლექტიური განცხადება კავშირში მიღების შესახებ. მათ შორის მუშაობის საწარმოებლად ჯეროვნით დაარსებულია პოლიტწრე და გამოყოფილია ხელმძღვანელიც.

რაც შეეხება დამოკიდებულებას ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციასთან, უნდა ითქვას, რომ ასეთის არ არსებობის გამო, გარდა სოფლებში თითო-ოროლა პარტიის წევრებისა, არავითარი კავშირი არ არის.

მცხეთაში არ არსებობს რაიპარტკომი. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება დუშეთის სამაზრო პარტკომის მიერ.

მცხეთაში დაარსებულია ქალთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ვ. გოსტილიევა. მისი მუშაობა მეტად ნაყოფიერია, წრეში სისტემატიურად იკითხება ლექციები: აგრონომიიდან, ჰიგიენიდან და ბუნების მეტყველებიდან. აგრეთვე ხდება ყოველ კვირაში დელეგატ-ქალთა კრება, ა. ლ. კ. კ. რაიკომი თავის მხრივ ქალთა წრეს უწევს იდეურ დახმარებას.

რაიკომსა და რაიაღმასკომს შორის დამოკიდებულება კარგია. აღმასკომი გვიწევს მატერიალურ დახმარებასაც.

რომ მცხეთის რაიორგანიზაცია მომავალში თავის დონეზე დადგეს, ამისათვის აუცილებლად საჭიროა სამაზროკომიტეტსა და რაიკომს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამკვიდრება.

გრ. ნადარეიშვილი.

ჩვენი სოფლის კომკავშირის უჯრედის შესახებ

რა როლი უნდა ითამაშონ ჩვენი სოფლის ახკომკავშირის უჯრედებმა სოფლად?

პირველად ყოვლისა ახკომ-კავშირი უნდა იყოს მაგალითი უპარტიო ახალგაზრდობისა ყველ სფეროში. როდესაც ის გახდება მისაბაძი მაგალითი, მაშინ ჩვენ უფრო ადვილად შევძლებთ ეს უპარტიო ახალგაზრდობა ჩავაბათ კავშირის პრაქტიკულ მუშაობაში, კომკავშირის წევრებმა არ უნდა გამოიჩინონ არა შემთხვევაში გულგრილობა საქმისადმი, საუბედუროთ ზოგიერთ სოფლებში ასეთებს ადგილი აქვს. არ კმარა მარტო ის, რომ სახელი გქონდეს კომკავშირის წევრისა და არაფერს არ აკეთებდე, არავითარი წვლილი არ შეგქონდეს საბჭოთა აღმშენებლობაში.

ავილოთ თუნდაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ყურადღება დღეს მიქცეულია ამ კოოპერატივების გაძლიერებისაკენ. რას ისახავენ მიზნად კოოპერატივები? იმას, რომ სოფლის ღარიბ გლეხობას მიაწოდონ ყველა ის საგნები, რაც მის არსებობისათვის საჭიროა, ხელმისაწვდომ ფასებში, მან უნდა მოისპოს ყველა ის წურბელები, ჩარჩ სპეკულიანტები, რომლებიც კიდევ დარჩენილან ზოგიერთ მიყრუებულ სოფლებში. აი სწორედ ამ კოოპერატივებში ჩვენი კავშირის ახალგაზრდობამ უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა. სოფლად ჩვენი უჯრედები უნდა სცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი პროცენტი ახკომკავშირის წევრებისა ჩავაბათ მუშაობაში, რათა შევქმნათ კადრი წითელ კოოპერატორებისა.

მეორე უმთავრესი მიზანი სოფლად ჩვენი კავშირის უჯრედებისა—ეს არის კულტურული მუშაობის გაჩაღება.

არ უნდა დავივიწყოთ ილიჩის ლოზუნგი, რომ „საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავზე არ უნდა დარჩეს არც ერთი კაცი წერა-კითხვის უცოდინარი"-ო.

აქ დიდი ენერგიული მუშაობა მართებს, რათა ყველა წერა-კითხვის უცოდინარი აქტიურად ჩავაბათ სალიკვიდაციო წრეების საერთო მუშაობაში. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქოხ-სამკითხველოების ნორმალურ დონეზე დაყენების და კედლის გაზეთების გამოცემის საქმეს, რისთვისაც სოფლის ახალგაზრდათა კომუნისტურ გვარდიას მართებს დიდი ცხოველმყოფელობა.

ვ. მეუნარგია.

საჭირო განმარტება

ამხ. სერგო ორჯონიკიძემ არსენალის რაიონის ორგანიზაციის წევრთა კრებაზე 19 ნოემბერს განაცხადა, რომ ძველ მენშევიკ ს. დოლიძეს გულწრფელად სურს ჩვენთან შეერთება და მუშაობა, მაგრამ მას ისიც სურს—შეგვარიგოს ნოე ჟორდანიას და სხვებსაო. ამ ჩემ შერიგების სურვილს ამხ. ორჯონიკიძე ეძახის „ბავშურ გულუბრყვილობას" და დასძენს: დოლიძესთანები ბევრია... მათ ხელს ნუ ვკრამთ... ისინი ჩქარა სავსებით ჩვენთან მოვლენო.

ამის შესახებ უნდა განვაცხადო შემდეგი: პირადათ მე არა თუ ჩქარა მოველ თქვენთან, არამედ, როგორც დაინახავთ ქვემოდ, დიდი ხანია საბჭოთა პლატფორმაზე ვდგევარ და შეძლებისადაგვარად ვმუშაობ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

თბილისში კომუნისტების შემოსვლის ღამეს, როცა ჩემი ამხანაგები სტოვებდენ ქალაქს, მეც მომცეს წინადადება წავსულიყავი, თორემ კომუნისტები დაგხვრეტამენო... მე არ წაველი. დავრჩი ჩემს ალაგზე, როგორც მემანქანე. ნიკოლოზის მთავრობას გავექეცი 1905 წ., ხოლო კომუნისტებს არ გავექცევი, დეე დამხვრიტონ მეთქი,—ვიფიქრე.

ორი კვირის შემდეგ ჩავედი ოზურგეთში ბავშვების წამოსაყვანად.

იქ ხმა გავრცელებინათ—დოლიძე თბილისში დახვრიტესო და ძალიან გაუკვირდათ ჩემი ნახვა.

ოზურგეთში იმ დროს ბევრი ამხანაგები იყვნენ ბათომიდან დაბრუნებულნი, სხვათა შორის—ს. დევდარიანი, ილ. გიორგაძე, ნიკო ბერეჟიანი და მრავალი სხვა. ჩემი ნახვა გაუხარდათ. თბილისის ამბავი მკითხეს, გადარჩენას მილოცავდენ.

როცა თბილისის ამბავი მოუყევი, როცა გადავეცი, რომ თბილისში არავინ დაუხვრეტიათ, რომ სრული სიმშვიდეა და წითელარმიელები თვით ჩვენ გვარდიელებზე კარგად გვეპყრობიან-თქო, ამხანაგებმა ჩემზე ეჭვი შემოიტანეს და მითხრეს—შენ ძმავ უკვე გაკომუნისტებულხარო.

თუ სიმართლის თქმა გაკომუნისტებაა, დეე იყოს ასე,—იყო ჩემი პასუხი. წამოდით ყველამ, შეუდექით მუშაობას და თვით დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში-მეთქი,

მართლაც, ბევრი ამხანაგები ჩემთანვე წამოვიდნენ, ზოგიც შემდეგში. მე განვაგრძობდი რკინის გზაზე ჩემი მოვალეობის ასრულებას. ერთხელ ქუჩაში შემხვდა ერთი ამხანაგი მენშევიკი და მომცა წინადადება მემუშავნა არალეგალურ მენშევიკურ ცენტრში. მე უარი უთხარი და განუცხადე: მეფის მთავრობა რომ იყოს, ერთ წუთსაც არ დავაყოვნებდი, ვიმუშავებდი; კომუნისტების წინააღმდეგ-კი არა-ლეგალურათ არ ვიმუშავებ; რაც უნდა ნაკლი ქონდეს კომუნისტებს, ისინი მუშათა ინტერესების დამცველი არიან და მათ წინააღმდეგ ვერ ვიმუშავებ. ამის შემდეგ აღარავის მოუმართავს ჩემთვის.

1921 წელშივე რკინისგზას ლებულობდა მირონოვი. მე სამსახურის გამო გავიოვყევი მის საგანგებო მატარებელს. ამ მატარებელში ბევრი იყვნენ ქართველი ინჟინრები, ექიმები და სხვა მოხელენი. იმათ ეშინოდათ, რომ ჩვენ ვოვემწყვდეოდით სადმე დერბენტისაკენ, რადგანაც ხმები იყო ჟორდანია უსათუოდ დაბრუნდება ამ დღეებშიო. მე ვარწმუნებდი ამ „მორწმუნეთ", რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომლის საშუალებითაც შეეძლოს ჟორდანიას დაბრუნება და სხვა.

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიმართ სრული ლოიალობისა და ხელის შეწყობისა, თუ პოლიტიკურად არა, აღმშენებლობითი მუშაობაში—მაინც დამიჭირეს ამავე წლის (1921 წ.) ქრისტეშობისთვეში და ამოვყავი თავი მეტეხში.

ცოტა არ იყოს მრცხვენოდა. მენშევიკების სასარგებლოთ არა გამიკეთებია რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცოტაოდენ მატერიალურ დახმარებას დაპატიმრებულებისადმი. ეს მე თავიდან განვაცხადე მეტეხში, რომ დაჭერილი ვარ შეცდომით. ყოველ შემთხვევაში „ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე" ციხის „სიომ" ჩემზეც იმოქმედა და სილ. ჯიბლაძის პანაშვიდზე კომუნისტების წინააღმდეგ სიტყვაც კი წარმოვსთქვი ციხეში.

რა ვნახე მეტეხში! გასაკვირალი ამბავი. იმ პოლიტიკებთან, რომლებთანაც მუდამ ჩხუბში და კამათში ვიყავით გარედ,—ციხეში ჩემი ამხანაგები დაძმობილებულიყვნენ.

კიდევ მეტი. ერთ კრებაზე ჩვენი ამხანაგები და სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტური პარტიები ინაწილებდენ ალაგებს ჟორდანიას დროებით მთავრობაში, რომელიც თითქო ამ დღეებში უნდა დაბრუნებულიყო თბილისში! მე ეს ამბავი გამიკვირდა და ვკითხე, თუ რომელი რადიოს საშუალებით აქვთ მათ ციხეში ასეთი ცნობა. ხოლო შემდეგ მენშევიკების კრებაზე მე ხმა მაღლა განვაცხადე შემდეგი:

ამაზე უფრო ბნელ სარდაფში რომ ჩაგვსვან კომუნისტებმა, მაინც კომუნისტები მირჩევნია იმ ნაციონალისტებს, რომლებთანაც ჩვენ აქ ციხეში ასეთი მეგობრები გავმხდარვართ. ამაზე მე კინაღამ ბოიკოტი გამომიცხადეს.

ცოტა ხნის შემდეგ დავსვი საკითხი: დროა დავიწყოთ კომუნისტებთან ერთათ მუშაობა-მეთქი, მაგრამ ამ წინადადებას თუ არ ვცდები მხოლოდ ერთი ამხანაგი—კოლა მაკარაძე მიემხრო. ოთხი თვის შემდეგ ციხიდან გამანთავისუფლეს და მას აქეთ სინდისიერათ ვასრულებ ჩემს მოვალეობას სახელმწიფოს აღმშენებლობით მუშაობაში.

ეს გრძელი წინასიტყვაობა ამტკიცებს, ამხანაგო სერგო, რომ მე დიდი ხანია ვხედავ საბჭოთა მუშაობას, ვამართლებ და მხარს უჭერ მას. ვეხმარები რაც შემიძლია.

თუ 7—8 ნოემბრის კრებაზე მე დავაყენე საკითხი რუსეთში და საზ.-გარედ მყოფ ამხანაგებთან შერიგების შესახებ, მე ამას ვასაბუთებდი იქვე შემდეგი მოსაზრებით: როგორც რუსეთში, ისე საზღვარ-გარედ არ იციან ამხანაგებმა ჩვენი ქვეყნის ნამდვილი, სწორი ამბავი. არ იციან რა კეთდება კერძოთ საქართველოში. ნუ დაივიწყებთ, რომ დღეს ევროპის ყველა ქვეყნები, ყველა ქალაქები სავსეა რუს რეაქციონერებით. მათ აქვთ აუარება გაზეთები. ყველა ამათში იბეჭდება მეტად გაბერილი და კომუნისტების დამამცირებელი ცნობები. ჟორდანია და მისი ამხანაგები ემყარებიან ამ ცნობებს. კომუნისტური გაზეთები თუ აღწევენ იქამდი, ისინი აქათ ცნობას არ უჯერებენ.

ახლა ვნახოთ როგორ ცნობებს აწოდებს მათ აქაური არალეგალური ცეკა. ამ დღეებში მუშათა კომისიაში განაცხადა ერთმა ამხანაგმა შემდეგი: არალეგალურათ მუშაობის დროს მე მივაწოდე ჩვენს ცეკას ერთი ცნობა, რომელიც ცოტა არ იყოს, მეც გავაბერე... ეს ცნობა გაგზავნილ იქნა საზღვარგარეთის ბიუროში. როცა იგივე ცნობა მე წავიკითხე შემდეგ „თავისუფალ საქართველოში", ის ისე ბერად გავდა ჩემს მიცემულ ცნობას, როგორც ცა დედამიწასაო... აი, როგორი ცნობებით საზრდოობენ დღეს საზღვარგარეთ მყოფი მენშევიკები. ასეთ პირობებში მუშათა კომისიის ჩასვლა საზღვარგარეთ საბჭოთა მუშაობის ფაქტებით და საბუთებით ხელში, ჩვენ გვგონია, დადებითი შედეგს მოიტანს და თუ სულ არა, ნაწილს ამხანაგებისას მაინც დააბრუნებს სამშობლოში და ეს უკვე დიდი საქმე იქნება, და ეს არა მგონია იყოს „ბავშურ გულ უბრყვილობაზე" აგებული.

პირადათ ჩემზე არაა საქმე... მე კიდევ ვაცხადებ, რომ უკვე მიღებული მაქვს თქვენი ხაზი. ვცნობ მუშათა დიქტატურას და ვდგევარ მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ... მაგრამ ერთი, ორი, ათი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს... ჩვენ გვინდა ქვეყანა დაწყნარდეს, ავანტიურისტული გამოსვლები არ მოხდეს. სისხლი არც ერთ მხარედან აღარ დაიღვაროს და ამას კი მეტად შეუწყობს ხელს რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან დაბრუნება თუნდაც რამდენიმე ამხანაგისა.

ვისაც ამის შემდეგაც არ ისურვეეს სიმართლის დანახვას და დაბრუნებას, ხურს უკაცრავად, თუ ისინი დარჩებიან მოწყვეტილი მუშათა მოძრაობიდან.

ს. დოლიძე.

ჟურნალი „შარკ-ქადინი"

ერთი წლის დაუღალავი, შეუწყვეტელი და ნაყოფიერი მუშაობა.

რა დიდი დროა აღმოსავლეთისათვის, მისი მოსახლეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ნაწილისათვის, აღმოსავლეთის ქალისათვის. მან, ამ ქალმა შექმნა თავისი ორგანო—„შარკ-ქადინი", რომელსაც იცნობენ ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან კუთხეებში, მას იცნობენ თითქმის ყველა მუსლიმანი მცხოვრებლები.

ჩვენი იუბილიარი, ამასთანავე, დიდი სიმპატიებით სარგებლობს. მისი ტირაჟი აღემატება 3.000-ს. რა დიდი გამარჯვებაა! ის ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთის ქალი სცოცხლობს, ის იღვიძებს, ვითარდება [illegible] აქვთ რა ხელთ საკუთარი ჟურნალი, აღმოსავლეთის მშრომელ ქალებს, თურქების, ოსმალების, სპარსელების, თათრების და სხვა ერების პროლეტარ და გლეხის ქალებს თამამათ შეუძლიათ სთქვან: ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ, რადგან შევიგნეთ სიმართლე და უკეთესი მომავლისაკენ მივდივართ. დიახ, ეს მართალია, ეს ასეა.

გაუმარჯოს აღმოსავლეთის მშრომელ ქალს.

კომუნისტური სალამი მას.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი **ა. მიასნიკოვი.**

თბილისის 19 დეკემბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური ცხოვრება

ფასები შირის ნაწარმოებზე

შირის ნაკეთობაზე, რომელსაც „შირის ტრესტის" თბილისის განყოფილება აძლევს სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო ფირმებს—დაწესებულია შემდეგი საზღვრითი საბითუმო ფასები: შირის ყელიანი კალოში კაცის 3 მან. 70 კაპ. წყვილი, დაბალყელიანი კალოში კაცისა 17 ნომრამდე—3 მან. 50 კაპ. წყვილი, კალოშები კაცისა 3 მანეთი, ქალის კალოშები—3 მანეთი, კალოშები „К. Т." 4 მან. 25 კაპიკი, ვაჟებისა 2 მან. 55 კ., ქალიშვილებისა 1 მან. 95 კაპ., ბავშვებისა 1 მ. 65 კ., ყელიანი კალოში ვაჟებისა 3 მან. 50 კ., ბრეზენტის ფეხსაცმელი 3 მან., ფეხსაცმელი შირისა „С" 145 14 მანეთი., იგივე „С" 147-19 მან., ყელიანი კალოში—370 ბეწვიანი 6 მან. 80 კაპ., იგივე 326 უბეწვო—8 მან. 50 კაპ.

საცალო ფასები

	ქალ. თბილისისათვის	საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბლ. ყველა სხვა ადგილებისათვის
ყელიანი კალოში კაცის შირის	4 მ.	4 მან. 20 კაპ.
დაბალ ყელიანი კალოში კაცისა 17 ნომრამდე	3 „ 85 კ.	4 „ —
კალოში კაცისა	3 „ 30 „	3 „ 45 „
„ ქალისა	3 „ 30 „	3 „ 45 „
კალოში „	4 „ 75 „	4 „ 95 „
კალოშები ვაჟებისა	2 „ 85 „	3 „ —
კალოშები ქალიშვილებისა	2 „ 15 „	2 „ 25 „
კალოშები ბავშვებისა	1 „ 85 „	1 „ 95 „
ყელიანი კალოშები ვაჟებისა	3 „ 85 „	4 „ —
ბრეზენტის ფეხსაცმელი	3 „ 30 „	3 „ 45 „
ფეხსაცმელი შირისა C 145	16 „ —	16 „ 80 „
„ „ C 147	22 „ —	23 „ —
ფეხსაცმელი 370 ბეწვიანი	7 „ 70 „	8 „ 10 „
„ 326 უბეწვო	10 „ —	10 „ 50 „

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

მეოთხე სხდომა

მიწად. მოქ. სახ. კომის სატყეო განყოფილების მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. უზირია)

საქართველოს ტყეების საერთო რაოდენობა უდრის 1.500.000 კაზ. დესეტინას. სატყეო ადმინისტრატიული პერსონალი მეტად განსაზღვრულია. თვითეულ დარაჯს უხდება 5500 დესეტინის მოვლა-პატრონობა. განყოფილებას ძალიან ცოტა ჰყავს მომზადებული მეტყევეები. ტყის მცველი პერსონალის ხელფასი გასულ წელს ძალიან მცირე იყო. ამ ჟამად ტყის გამგე იღებს თვიურად 40—60 მ. ტყის დარაჯი 24 მანეთიდან—30 მანეთამდე. ტყის მოწყობა დღემდე უმწეო მდგომარეობაშია, მოხდა მხოლოდ ტყეების აღრიცხვა, საცდელ-საკურორტო საქმეც ფულის უქონლობის გამო ვერ არის დაყენებული. ამ საჭიროებისათვის მოთხოვნილი წლიურად 13.480 მანეთ. მიღებულია ოქტომბერ-ნოემბერში—1300 მანეთი, სწარმოებს მუშაობა თესლეულისის მოსამზადებლად და ნიადაგის დასამზადებლად ახალი სანერგეების გაშენებისათვის.

ტყის საექსპლოატაციო ნაწილის გამოსაყოფად ყოველთვიურად განყოფილება ღებულობს 300 მანეთს. საქართველოს ტყეებში ყოველწლიურად შეიძლება დამზადდეს 150 ათასი კუბიკური საჟენი მერგანი (დროვესინა), გასულ წელს გაცემული იყო 100 ათასი კუბ. საჟ. მერგანი. საერთოდ საამშენებლო მასალის გაცემამ იმატა 100 პროცენტით, სათბობ მასალის გაცემამ იკლო. ხე-ტყის სამრეწველო ექსპლოატაციას ეწეოდენ სატყეო ტრესტი, რკინისგზათა სამმართველო და ადგილობრივი აღმასკომები, რომელთა მუშაობა ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. 1924—23 წ. წ. გაცემულ ხე-ტყის ღირებულება უდრიდა 407.014 მანეთს საქართველოს ტყეებმა 1924 წელს მოგვცა 102 ათასი მანეთი წმინდა მოგება. საშუალო შემოსავალი დესეტინაზე უდრიდა 30 კაპეიკს. გასავალი 25 კაპეიკს. განყოფილებამ, რომელიც ნაკლებ იყო უზრუნველყოფილი გამოცდილი სატყეო მუშაკებით და სოოპერაციო თანხებით, შესძლო დაკისრებულ ამოცანების 100 ით შესრულება.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ორატორები უმთავრესად აღნიშნავდენ უწესრიგობას ტყით სარგებლობის დარგში.

მეხუთე სხდომა

მიწ. სახ. კომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ხოფერია)

მომხსენებელი მოკლეთ ახასიათებს სასოფლო-სამეურნეო განყოფილების სექციების მუშაობას.

მთავარი ყურადღება ექცეოდა მაზრების აგრონომიულ დახმარებას, მაგრამ აგრონომიული პერსონალის სიმცირის გამო შეუძლებელი გახდა აგრონომიული დახმარების რიგიანი მოწყობა. ალაგ-ალაგ განყოფილება აწყობდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელ პუნქტებს, საცდელ მინდვრებს, საგრილებელ პუნქტებს. სოფლის მეურნეობის მავნეებთან ბრძოლას ხელმძღვანელობდა განყოფილება, რომელიც საჭიროა ალაგებზე აგზავნიდა ექსპედიციებს. საერთოდ აგრონომიულ მუშაობას აბრკოლებს ის გარემოება, რომ განყოფილებას არა აქვს საშუალება დაიქირაოს აგრონომების საჭირო რაოდენობა.

მიწად მოწყობის განყოფილების მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ი. ჟვანია)

მომხსენებელი განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მიწის რეფორმის დაგვირგვინებისათვის მიწის მოწყობას, რომელიც დღემდე მეტად სუსტად მიმდინარეობდა.

საპერსპექტივო ხუთწლიანი გეგმის მიხედვით საქართველოს ყველა კუთხეებში საჭიროა 160 მიწის მზომელი, განყოფილებას კი ჰყავს მხოლოდ 45. დღემდე მოწყობილა მხოლოდ საქართველოს მიწა წყლის ერთი მეოთხედი. მიწის მოუწყობლობა ჰქმნის სასოფლო მეურნეობაში ანარქიას და ხელს უშლის უმაღლესი კულტურის განვითარებას და შეუძლებელს ხდის საძოვრების და ახალშენების მოწყობის საკითხის დადებით გადაჭრას. შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ს. კ. პ. ცეკას პლენუმის დადგენილება მიწადმოწყობისადმი სათანადო ყურადღების მიქცევის შესახებ და მოითხოვს კავშირისაგან ამ საქმისათვის ხელის შეწყობას.

წაკითხულ მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი.

მოწოდება
გურიის ყოფილ მენშევიკებისადმი!

„ჩვენ ვიხრით თქვენი გაბედულობის წინაშე. თქვენ, რომელიც იბრძოდით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში დარწმუნდით რა თქვენს შეცდომებში, გაბედულათ და სინდისიერათ გადადით მუშათა კლასის მხარეზე".

ტრედ-უნიონების დელეგაციის წევრი ბრომლეი.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

საქართველოს მენშევიკური პარტია უკვე სავსებით გაკოტრდა, ის დღეს წარმოადგენს ყოფილ მემამულეთა, ვაჭართა და ყოველგვარ პრივილეგიებს მოკლებულ თავად-აზნაურთა ჯგუფს, რომლის სულის ჩამდგმელია ბურჟუაზიის ბანაკში გადახვეწილი მეორე ინტერნაციონალი.

მას უკვე სავსებით ჩამოშორდენ ყველა რევოლიუციონური ელემენტები და თავის ღრმა შეგნებით ამოუდგენ გვერდში მსოფლიო პროლეტარიატის მებაირახტრე მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

დღეს ყველა მშრომელი უკვე სავსებით დარწმუნებულია მეორე ინტერნაციონალისა და მასში შემავალ პარტიათა სიკოტრეში და მუშათა კლასის ღალატში.

დღეს ჩვენს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, რათა ვაწარმოოთ ენერგიული მუშაობა და ხელიხელ ჩაკიდებული კომუნისტურ პარტიასთან ერთად შეუდგეთ საერთო საქმის კეთებას და მასთან ერთად ვიბრძოლოთ საერთაშორისო ბურჟუაზიის და მისი მოკავშირე მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

ამ მიზნით მაზრაში არჩეულია გურიის სამაზრო ყოფილ მენშევიკთა თათბირის მიერ სამაზრო საინიციატივო ბიურო, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას ყოფილ მენშევიკთა შორის ლენინიზმის იდეების გასავრცელებლად. ბიურო მოგიწოდებთ თქვენ, რათა ამოუდგეთ მას გვერდში და შეებრძოლოთ როგორც არალეგალურს, ისე ლეგალურ მენშევიზმს.

მხოლოთ მესამე კომინტერნის მიერ აღებული გზა არის რევოლიუციონურ-მარქსისტული გზა, რომელიც მიგვიყვანს სოციალიზმამდე. მოგიწოდებთ გადადგათ გაბედული ნაბიჯი, რათა გავატაროთ ფართე მასაში 1923 წ. აგვისტოში ყოფილ მენშევიკთა ყრილობაზედ მიღებული დადგენილებანი.

ძირს მენშევიკური პარტია და ყვითელი ინტერნაციონალი!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

(საინიციატივო ბიურო მოთავსებულია ქ. ოზურგეთში, ალმასკომის ქუჩა № 10 ა. კალანდაძის სახლში).

გურიის სამაზრო ყოფილ მენშევიკთა საინიციატივო ბიურო.

ქ. ოზურგეთი.

1924 წელი 11 დეკემბერი.

მედსანშრომის მუშაკთა ყრილობა
მესამე სხდომა
სარევიზიო კომისიის მოხსენება
(მომხსენებელი ამხ. კაჩუაშვილი)

საერთოდ სარევიზიო კომისიამ მოახდინა რა რამდენიმეჯერ კავშირის ცენტრალური გამგეობის და მისი განყოფილებების ყოველმხრივი რევიზია, შენიშნა კავშირის დიდი დავალიანება პროფსაბჭოს მიმართ და აგრეთვე მედსანშრომის ყველა პროფორგანოების დეფიციტიანობა. სარევიზიო კომისიის მიერ შენიშნულ იყო აგრეთვე კულტფონდიდან და უმუშევართა ფონდიდან თანხების არა პირდაპირი დანიშნულებით დახარჯვა. საერთოდ მუშაობა ცენტრში სწარმოებდა დამაკმაყოფილებლად.

კამათი.

ცენტრალურ გამგეობის მოხსენებამ გამოიწვია ხანგრძლივი კამათი. ორატორთა უმრავლესობამ გამგეობის მუშაობა არ მიიჩნია დამაკმაყოფილებლად იმის გამო, რომ კავშირის ცენტ. გამგეობა სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა ქვედა-საფეხურის პროფუჯრედებს. კავშირი სავსებით მოწყვეტილ იყო მასსებს, რაც სცემდა კავშირის ავტორიტეტს მასსის თვალში. რამოდენიმე ორატორს ცენტრალურ გამგეობის მუშაობის ასეთი შეფასება არ მიაჩნია სწორად.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ცენტრ. გამგეობის მუშაობის საერთო ხაზი ცნობილია სწორად და დამაკმაყოფილებლად.

საკურორტო სამმართველოს მუშაობა
(მომხსენებელ ამხ. ვაჩაძე)

მას შემდეგ, რაც გაუქმებულ იქნა სამმართველოს კოლლეგიალური წესი, რომელიც ჰქმნიდა მრავალუფლებიანობას, საკურორტო სამმართველოს მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

სამმართველოს უწყების ქვეშ კურორტებს გარდა იმყოფება კურორტებს მახლობლად მდებარე მიდამოები (ტყეები, სათიბები, საბალახოები და სხვა). შემჩნეულია, რომ გლეხობა დაუზოგველად ეპყრობა ტყეებს, რაც საფრთხეს უმზადებს საკურორტო მეურნეობას. მაგ. ბორჯომის რაიონში ტყის ხშირი გაჩეხვით მოსალოდნელია ნიადაგის სინესტის ამოშრობა და ამით მინერალური წყლების დებეტის შემცირება. საკურორტო სამმართველოს აქვს აგრეთვე საწარმოო დაწესებულებათა კომბინატი, რომელიც აერთიანებს მინის ქარხანას, სახერხ ქარხნებს, წყლის ჩამომსხმელ ქარხნებს და ჰიდროელსადგურს. ყველა ეს წარმოება მუშაობს ბორჯომის მინერალურ წყლისათვის.

შარშან დამზადებული იქნა 1 მილიონი ბოთლი ბორჯომის წყალი, ამ რიცხვიდან გაიყიდა მხოლოდ 100 ათასი ფუთი. წრეულს დამზადდა ორ მილიონ ნახევარი ბოთლი, რომელიც მთლიანად გასაღდა, რაც იმის შედეგია, რომ ექსპორტის საქმე თავის სიმაღლეზე სდგას.

რაც შეეხება კურორტებს, არ არის კარგათ მოწყობილი, ძველ კურორტებზე ბინის დიდი სივიწროვეა, ხოლო წყალტუბოსა და ახტალაზე პირველყოფილი მდგომარეობაა. მომავალი წლისათვის ამ ადგილზე განზრახულია ბალნეოლოგიური სადგურების მოწყობა.

ძველ კურორტებზე ბინის კრიზისის დასაძლევად სამმართველო აწარმოებს საბინაო მშენებლობას. გასულ სეზონში მუშა-მოსამსახურეებისათვის იყო 600 ადგილი, მთხოვნელთა რიცხვი კი უდრიდა 2000-ს. შეუძლებელი შეიქნა ყველას დაკმაყოფილება, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია. მომავალი სეზონისათვის ყოველ დაწესებულებას გადაეცემა ბინების განსაზღვრული ნაწილი, რომლის გაწესრიგებაც მათ შეუძლიათ თავისი შეხედულების მიხედვით.

მცირე კამათის შემდეგ, ყრილობას გამოაქვს რეზოლიუცია, სადაც საკურორტო სამმართველოს მუშაობა მოწონებულია.

მეოთხე სხდომა
ჯანსახკომის მუშაობა
(მომხსენებელი ამხ. კუჭაიძე)

მომხსენებელი ეხება ჯანსახკომის მუშაობას სოფლად და ქალაქში. ქალაქებში ჯანმრთელობის საქმე შედარებით კარგად არის დაყენებული; იზრდება რიცხვი როგორც საავადმყოფოებისა და საწოლების, ისე მედსანშრომის პერსონალის. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ მედ. ექიმები უფრო ეტანებიან ქალაქს.

ჯან. სახ. კ-მა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მეტად ცუდი მემკვიდრეობა მიიღო: საექიმო პუნქტები არსად მოწყობილი არ იყო.

წლის ლამლევამდე ჯან. სახ. კომ ხსნის 70 პუნქტს, 1925 წლის პირველ თვეებში გაიხსნება კიდევ 72 საექიმო პუნქტი.

სოფლად სამედიცინო მუშაობის გასაძლიერებლად საჭიროა საექიმო პერსონალისთვის შეიქმნეს ისეთი პირობები, რომ სამედ. პერსონალმა სოფლად მუშაობა ამჯობინოს.

მშენებელთა ყრილობა
მეხუთე დღე
დილის სხდომა
კავშირის მომავალი ამოცანები

კავშირის მომავალ საორგანიზაციო მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იზრაილი, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია საკავშირო ორგანიზაციების მუშაობის გაფართოება და გაღრმავება იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ და დროზე იქნენ დაკმაყოფილებულნი მასსების ეკონომიური და უფლებრივი ინტერესები. მომხსენებელი კითხულობს თეზისებს ქვედა-უჯრედების წყობასა და მუშაობის მეთოდებზე, საკავშირო ორგანოების სტრუქტურაზე, პროფორგანოების გეგმიან მუშაობასა და ანგარიშებზე, წევრობაზე, ფინანსებსა და ურთიერთ დამხმარე კასსაზე. მომავალ-სატარიფო ეკონომიურ მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ფეოდოროვი, რომელიც თავის მოხსენებას საფუძვლად უდებს უმაღლეს საკავშირო ორგანიზაციათა ყრილობების გადაწყვეტილებას. შემდეგ მომხსენებელი არჩევს თეზისებს შრომის ხელფასის მოწესრიგების, ეკონომიური მუშაობის, საწარმოო თათბირების, სოციალური დაზღვევის, უმუშევრობასთან ბრძოლის და ბინის საკითხის შესახებ.

მომავალ კულტურულ მუშაობის საკითხებზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ოჰანეზოვი, რომელიც პირველად ეხება საკლუბო მუშაობას; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლუბებში მასობრივ წრეების მოწყობას და ლექციების, მოხსენებების, საუბრების და სამეცნიერო ხასიათის ექსკურსიების გამართვას. გარდა ამისა კავშირმა მიზნად უნდა დაისახოს წ. კ. უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. შემდეგ მომხსენებელი ეხება პროფტექნიკურ განათლებას, ფიზკულტურას და სხვა.

ყრილობა მუხლობრივად იხილავს თეზისებს, რომელშიაც შეაქვს შესწორებები. წამოყენებული თეზისები ყრილობამ მცირე ცვლილებით დაამტკიცა.

საბჭოთა სასამართლო
საგარეჯოს სადგურის უფროსის გ. მდივანის მოკვლის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ შომახიას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების ბარბაქაძის, ნარიმანიძის, პროკურორის თანაშემწის ჭელიძის მონაწილეობით დაიწყო საგარეჯოს სადგურის უფროსის მიხ. მდივანის მოკვლის საქმის გარჩევა. მკვლელობაში ბრალი ედება იმავე სადგურის მოსამსახურეს მეისრე ქარსაულიძეს, რომელსაც მეტად გამწვავებული ურთიერთობა ქონია მდივანთან სამსახურის ნიადაგზე. საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს, რომ ქარსაულიძე რამოდენიმეჯერ დამუქრებია მდივანს მოკვლით. ხსენებული ქარსაულიძე ყოველთვის გაურბოდა მდივანის განკარგულებების შესრულებას. მკვლელობის დღესაც, 1923 წლის 6 მაისს, ინციდენტი მომხდარა ხსენებულ ქარსაულიძესა და მდივანს შორის სამსახურის ნიადაგზე. მკვლელობა საბრალმდებლო ოქმის მიხედვით მოხდარა ასეთ პირობებში:

მკვლელობის დღეს სადგურის უფროსი მდივანი და მისი თანაშემწე მუშაობის გათავების შემდეგ შესულა ბუფეტში ღვინის დასალევათ. დაულევიათ თითო ჭიქა, მეორე ჭიქის ხელში აღებისას გაისმა თოფის სროლის ხმა და მდივანი სასიკვდილოდ დაჭრილი დაცემულა ძირს. ამის შემდეგ მეისრე ქარსაულიძე შესულა ბუფეტში, დაუწყია შეშინებული ხალხის დამშვიდება, მდივანისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია. ეჭვით შეუპყრიათ ქარსაულიძე.

ბრალდებული აცხადებს, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მკვლელობაში და არც არასოდეს დამუქრებია მდივანს სიკვდილით.

სასამართლოს სხდომაზე მოწმე თოფურიას დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ საგარეჯოს მილიციის უფროსს დაუჭერია ვინმე ყაჩაღი გვარათ ბაკიაშვილი, რომელსაც განუცხადებია, რომ მან მოჰკლა მდივანი. ამის შესახებ ბრალდებულსაც შეუტანია სასამართლოში განცხადება, რომ ეს გარემოება მიეღოთ მხედველობაში. სასამართლომ მიიღო მხედველობაში ეს გარემოება, დააკმაყოფილა ქარსაულიძის და დამცველთა კოლეგიის წევრის კანდელაკის შუამდგომლობა და 393 მ. ხ-ლის ძალით დაადგინა საქმე დაუბრუნდეს პროკურორს კვლავ სისწორით გამოსარკვევათ, ვინაიდან აღირკვევა ახალი გარემოებანი.

მკვდრის მძარცველთა გასამართლება ჭიათურაში

მკითხველებმა იციან, რომ ქ. ჭიათურაზე ორი ვერსით დაშორებულ მღვიმის დედათა მონასტერში ამ 1924 წლის 4 იანვარს ბოროტგამზრახველებმა საფლავიდან ამოიღეს გარდაცვალებული ლუკა ყორღოლიანი, გააძვრეს ტანზე ახალი ტანისამოსი და ფეხსაცმელები და მიიმალენ.

ჭიათურის ფხიზელმა მილიციამ მიიღო ზომები და აღმოაჩინა ბოროტმოქმედნი: ყაჩაღი გიორგი ყრუაშვილი, კოჩაძე და მღვიმის მონასტრის მონაზონი თებრონე ბაქრაძის ასული.

ამ დეკემბრის 13-ს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია ეს საქმე ქ. ჭიათურაში. ყაჩაღმა ყრუაშვილმა და „სულის დედამ" მონაზონმა თებრონიამ არ იცნეს თავი დამნაშავეთ, ხოლო კოჩაძე გულახდილად გამოტყდა დანაშაულში და გულწრფელად აღიარა სასამართლოს წინაშე, რომ 4 იანვარს 1924 წ. საღამოზე თებრონია მონაზონის ბინაზე შეიხმო იგი გიორგი ყრუაშვილმა და მოილაპარაკა, რომ იმ საღამოს ჩას, ყრუაშვილს უნდა მკვდარი ამოეღო საფლავიდან და გაეძარცვა, ნაძარცვი ნივთებიდან მონაწილეობას შეპირდება კოჩაძეს, თუ კი ეს უკანასკნელი მას მოეხმარება, კოჩაძეს ჯერ უარი უთქვამს დახმარებაზე, რადგან მკვდრის შინებია, მაგრამ ბოლოს მაინც დაუთანხმებიათ.

მონაზონს თებრონიას კი წინდაწინ უჩვენებია ყორღოლიანის საფლავი ყაჩაღ ყრუაშვილისათვის და თანაც უთქვამს, რომ იგი მონაზონი თითონ დასწრებია ყორღოლიანის დასაფლავებას და თავისი თვალით დაუნახავს, რომ მკვდარი მდიდრულად ყოფილა ჩაცმული.

ყრუაშვილს თავისი განზრახვა იმავე ღამეს მოუყვანია სისრულეში კოჩაძისა და მონაზონის აქტიური მონაწილეობით, მეორე დღეს კი მონაზონს კოჩაძისათვის გადაუცია მხოლოდ მკვდრის ფეხსაცმელები, დანარჩენები კი ყაჩაღს ყრუაშვილს გაუტანია.

მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა მათი დანაშაულობა.

სასამართლომ გიორგი ყრუაშვილს მიუსაჯა 4 წლის ციხე, კოჩაძეს 3 წლის ციხე და მონაზონს თებრონიას ორი წლის ციხე, მაგრამ რაკი სასამართლომ 7 ნოემბრის ამნისტია გაავრცელა მათზე, ყრუაშვილმა უნდა მოიხადოს ორი წლის ციხე, დანარჩენი დამნაშავენი კოჩაძე და მონაზონი სრულიად გაანთავისუფლეს პირობით.

ჩაქუჩ-ნამგალიანი.

ქრონიკა

— **საზოგადოებრივი სამუშაოები.** შრ. სახ. კომისარიატმა თბ. ალმასკომთან ერთად მოახდინა ახალშენის, საბურთალოს და შორი ნაძალადევის გამოკვლევა, ამ ადგილებში საზოგადოებრივი სამუშაოების მოსაწყობათ.

— **შრომის კოლექტივები.** შრ. სახ. კომისარიატი შეუდგა მეთუნუქე, მრეცხავთა, პარიკმახერთა და სხ. დარგის უმუშევართათვის შრომის კოლექტივების მოწყობას.

— **წიგნების გამავრცელებელ** შრომის კოლექტივში ამ ჟამად ირიცხება 30 კაცი, მოკლე ხანში კოლექტივი გახსნის წიგნით პატარა სავაჭროებს.

— **ტყის მოშენება.** მიმდინარე წლის განმავლობაში ყარაიაზის და დუშეთის სატყეოებში სხვადასხვა ჯიშის ხის თესლებით დაითესა 8 დესეტინა მიწა.

— **სახალხო მამულების ტრესტმა** მამულებში დაგზავნა 200 ბარი და 400 წერაქვი.

— **თბ. დამზღ. სალარო** დაზღვეულ ავადმყოფებს ნოემბრის განმავლობაში დაეხმარა 36,902 მ. 25 კაპ.

— **სხვადასხვა ავადმყოფობის** წინააღმდეგ წინასწარი ზომების მისაღებათ (აცრა, შეზხაპუნება და სხ.) ნოემბრის განმავლობაში თბ. დამზღვევ კასამ დახარჯა 15,000 მან.

— **უმუშევართა დამზღვევი** განყოფილება 19, 20 და 22 დეკემბერს აწარმოებს საერთო მაგიდის სექციის უმუშევართა ხელახალ აღრიცხვას.

— **დაიბეჭდა და გამოვიდა** 1923—24 წ. დამზღვევი სალაროს მუშაობის ანგარიში.

— **ფოსტა-ტელეგრაფის, სახ. კომისარიატი** სოფელთან დაახლოების მიზნით, მოძრავ საფოსტო განყოფილებებთან ხსნის შემნახველ შრომის სალაროებს.

— **ტექნიკური სათათბირო.** მუშათა ბინების კოოპერატიულ დამხმარე კომიტეტთან დაარსდა ტექნიკური სათათბირო ინჟინერთა და არქიტექტორების შემადგენლობით. სათათბიროს მიზანია მუშათა სახლების ტიპიური გეგმის გამომუშავება და საერთოდ სახლების საამშენებლო მუშაობის გეგმიანი ხელმძღვანელობა.

— **სოციალურ დაზღვევის** სამმართველომ გადასწყვიტა ექიმ აბაკელიას, რომელიც მიემგზავრება საზღვარ-გარეთ ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ საშუალებების შესასწავლათ, გადასცეს 500 მან. სოც. დაზღვევის საქმის შესასწავლათ.

— **თბ. მუშათა ბინების საჭიროებისთვის.** ა | კ. რკინისგზის სამმართველომ გადასწყვიტა ხე-ტყის მასალა გადმოზიდოს არსებულ ტარიფზე 30 პროც. დაკლებით, ხოლო დანარჩენი მასალა—25 პროც.

— **ქალაქის განათება.** კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა ქალაქის განათების საქმე გადასცეს ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებას.

— **შემოსავალი ტრამვაიდან** 15-დან 30 ნოემბრამდე თბ. ტრამვაის შემოსავალი უდრის 80,208 მან.

— **პურის სალეწი მანქანა.** ქ. ალმასკომის მიწად-მოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა შეიძინოს პურის სალეწი მანქანა წალკის რაიონისათვის.

— **ტრამვაიზე მგზავრობის** შესახებ ახალი წესების შემოღების გამო უბედურ შემთხვევათა საგრძნობლად იკლო. ნოემბრის განმავლობაში იყო მხოლოდ 9 შემთხვევა.

— **მეწველი ძროხის ჯიშის** გასაუმჯობესებლათ ქ. მიწად-მოქმედების განყოფილებას დაევალა შეიძინოს საზღვარ-გარეთ 20 ბუღა.

— **ქ. ალმასკომმა** დაამტკიცა ახალი საბინაო განყოფილება ლენინის ქუჩაზე № 6.

— **მუშათა ბინებისათვის.** 1925 წ. დასახულ გეგმის მიხედვით მუშათა საბინაო ამშენებლობის დამხმარე კომიტეტმა რუსეთში უნდა შეიძინოს 300 ათასი კუბ. ვერშოკი ხე-ტყის მშრალი მასალა.

კინო

სცენარიების განხილვა.

საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე შემოსულ სცენარიების განსახილველათ არჩეულმა კომისიამ განიხილა 50 სცენარი. სცენარიების დიდი უმრავლესობა მეტად სუსტი აღმოჩნდა როგორც ლიტერატურულის, ისე კინო-ტექნიკის მოთხოვნილებების მხრივ.

განხილულ სცენარიებიდან მხოლოდ ორი შეიძლება გამოყენებული იქნეს ზოგიერთი შესწორებების შემდეგ.

„ხაჯი მურატი"

რეჟისორმა პერესტიანმა დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა კინო-სურათის „ხაჯი-მურატი"-ს დასადგმელათ. სურათში მონაწილეობას მიიღებს 1,000 კაცი. მთავარი როლები დაკისრებული აქვს საუკეთესო ქართველ კინო-მსახიობებს. ხაჯი მურატის როლს შეასრულებს არტისტი ზელოვანი.

დადგმის მხატვრული ნაწილის მეთვალყურეობა, ესკიზები, კოსტიუმები და მაკეტები განზრახულია დაეკისროს მხატვარ ე. ლანსერეს, რომლის სურათებს დაღესტანის ცხოვრებიდან კარგათ იცნობენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

სცენების უმრავლესობა გადაღებული იქნება ნუხის ახლოს, და აგრეთვე მთიელთა სოფელ ხუნზახში, ცალმესში და შამილის რეზიდენცია - ვედენოში. სცენები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებს იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, გადაღებული იქნება ლენინგრადში.

„დაკარგული საუნჯე".

სურათი „დაკარგული საუნჯე" ხელახლა გადამუშავებულია 2 სერიათ და ახლო მომავალში სრულიად ახალი სახით ნაჩვენები იქნება კინო-მრეწველობის ერთერთ თეატრში.

„დაკარგულ საუნჯეს" ახალი მონტაჟით უკვე აჩვენებენ მოსკოვის, ლენინგრადის და ბელორუსიის რაიონებში; სურათი დიდ აღფრთოვანებას იწვევს მაყურებლებში.

„ელიტა".

სურათი „ელიტა" საქართველოს კინო-მრეწველობის თეატრებში: „აპოლო"-ში, „სოლეი"-ში და „არფასტო"-ში ნაჩვენები იქნება დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

ვინაიდან „ელიტა"-ს ერთადერთი ეგზემპლიარი ამიერ-კავკასიაში შეიძლება ნაჩვენები იქნეს თბილისში მხოლოდ მოკლე დროის განმავლობაში, ამიტომ ორივე სერია წავა ერთად.

მიიღება 1925 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე"

ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს, დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი"-ს ორკვირეული დამატება „ჩირაღდანი"—8-დან 12 გვ.
2. „კომუნისტი"-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა"—8-დან 12 გვ.
3. ფ. მახარაძის წიგნი: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში"
4. ფრ. ენგელსი: „კომუნიზმის პრინციპები"
5. ქ. ორაგველიძე: „რელიგია და მარქსიზმი"
6. მიხ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი: „კვაჭი კვაჭანტირაძე"

დამატებები შემდეგნაირათ იქნება განაწილებული:

ყველა (თვიურიდან დაწყებული) ხელის მომწერლებს მიეცემათ უფასოთ:

1. „ჩირაღდანი", 2. „მეცნიერება და ტეხნიკა"

ორივე გამოცემა დასურათებული იქნება.

გარდა ამისა

ექვსი თვით ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემათ:
1. ფ. მახარაძის წიგნი—„მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში"
2. ფ. ენგელსის წიგნი—„კომუნიზმის პრინციპები"
3. ქ. ორაგველიძის—„რელიგია და მარქსიზმი"

ერთი წლით ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემა:
1. მიხ. ადამაშვილის-ჯავახიშვილის წიგნი „კვაჭი კვაჭანტირაძე"

გაზეთი ღირება:

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის

გაგზავნით

1 თვით	75 კაპ.
2 „	1—45 „
3 „	2—15 „

ერთი წლით 8—50 კაპ.

4 თვით	2—85 კაპ.
5 „	3—55 „
6 „	4—25 „

ყველა დანარჩენებისათვის:

თბილისში მიტანით:	
1 თვით	1 მან.
2 „	1—95 კაპ.
3 „	2—90 „
4 „	3—85 „
5 „	4—80 „
6 „	5—76 „
1 წლით	11—50 „

პროვინციაში გაგზავნით:	
1 თვით	1 მ. 20 კაპ.
2 „	2 მ. 35 „
3 „	3 მ. 50 „
4 „	4 მ. 65 „
5 „	5 მ. 80 „
6 „	6 მ. 95 „
1 წლით	13 მ. 85 „

საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში გაგზავნით 1 თვე 1 მან. 50 კაპ.
უცხოეთში — — — — — გაგზავნით 1 თვე 2 მან. 50 კაპ.

გაზეთი გამოვა 4-დან 6 გვერდამდე.

გაზეთს ჰყავს კორესპონდენტები ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებში და დაბებში. საკმაოთ ფართო ქსელი კორესპონდენტებისა მოიპოვება მას ჩვენს სოფლებში, მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

საკუთარი კორესპონდენტები: ბაქოში, ერევანში, კავკავში, მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომში

მუშათა ცხოვრება

შრომის არენა

სუნთქავს ქარხანა ფოლადის რკალში,
კვამლებს აბოლებს დიდი მილები,
ქშინავს მაზუტი ვნებისა ალში
და აქ ოფლს ღვრიან შრომის შვილები.

ანთებულია შრომის ფანდური...
გააქვთ ზანზარი გრდემლზედ ჩაქუჩებს...
შრომა სხივოსნობს აქ, გიგანტური
და ელექტრონი აშუქებს ქუჩებს.

მაზუტით თვრება დინამო, გიჟი,
ელვის სისწრაფით ღვედები ჰქრიან,
მომავალ ყოფნით მღერის აქ თუჯი
და ეს რკინები შვების ჰანგს ჰქმნიან.

დღეს ნანისლია ქვეყანა რკინით;
ანთებულია ელექტრონებით:
მუშები ჰქმნიან ბრძოლისა ჟინით
ახალ ქვეყანას, ახალ გონებით.

მ. გოგიაშვილი.

ალმოსავლეთის მუსიკის სახალხო კონცერტი

ამა წლის 14 დეკემბერს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა პირველათ ამ სეზონში სახალხო კონცერტი ალმოსავლეთის მუსიკისა ნერსეს ორლანოვის ხელმძღვანელობით. კონცერტში მონაწილეობას ღებულობდნენ პიანისტი ტერ-დავიდოვი, ქიანურზე დამკვრელი ოვანეზაშვილი, მომღერალი სათენიკა და მუშათა ცენტრალურ კლუბის ალმოსავლეთ საკრავების წრე. ამგვარ სახალხო კონცერტებს აქვს დიდი მნიშვნელობა ხელოვნებაში, რადგანაც სახალხო მუსიკა უფრო მისაწვდომია და გასაგები ფართე მშრომელი მასისათვის, ვიდრე დიდი სიმფონიური კონცერტები, ალმოსავლეთის მუსიკას აქვს თავისი ისტორიული მნიშვნელობაც. აქ ჩვენ ვეცნობით საიათნოვას და სხ. მუსიკაში ჩაქსოვილია აუცილებლივ ხალხის გული და სული. აქ არის მუშურ-გლეხური მოტივებიც, რომელნიც სიამოვნებით მოსმენილ იქნა აუდიტორიის მიერ.

კონცერტს ბლომად დაესწრნენ მუშები და წითელ-არმიელნი, რომელნიც აღფრთოვანებულნი იყვნენ ხალხური ჰანგებით.

მეშკორი ი. ელიაშვილი.

სპეკულიაცია - სამსახურში
(პროკურატურის საყურადღებოდ)

ქობულეთის გლეხკომს უნდა გაეგზავნა მანდარინი მოსკოვში. დატვირთეს ვაგონი და გამყოლებად დანიშნეს პატრონები და მოქ. სულეიმან ბაჯელიძე და სულეიმან ვასაძე. რის ვაი-ვაგლახით ეს ვაგონი ოთხი დღის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა. აქ გამოუცხადეს, რომ საჭირო იყო რკ. გზ. ერთი გამყოლი, რომლისთვის ჯილდოთ უნდა მიეცათ 150 მან. მათ ფული არ ჰქონდათ. გამოჩნდნენ „გულშემატკივარნი". მოქ. ტელიჩკო დათანხმდა გაყოლაზე 200 მანეთ. ხოლო ფული უნდა ჩაებარებინათ მოსკოვში. თუმცა იყო ისეთი განკარგულება, რომ ეს ვაგონი უნდა წასულიყო უგამყოლოდ, მაგრამ აქარლები დააშინეს გზაში ვაგონს აგიზნიანო და ისინიც იძულებულნი გახდნენ წაეყვანათ მოქ. ტელიჩკო, რომელიც ბოლოს დასთანხმდა 150 მანეთად გაყოლაზე.

ოფიციალურ დაწესებულებაში ასეთი საქციელი დასაშვები არ არის.

ინფ. კამა—ძე.

კორესპონდენტ-ქალთა წრე

მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში ქალთა განყოფილების მიერ არის დაარსებული კორესპონდენტ-ქალთა წრე ამხ. ანდღულაძის ხელმძღვანელობით. წრე შესდგება ჯერ-ჯერობით 12—14 ქალისგან. სასურველია წრის გადიდება ქალთა რაოდენობის გამრავლებით. წრეს მიზნად აქვს დასახული გამოუშვას მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში არსებულ ქალთა კუთხის კედელზე „კედლის გაზეთი" სახელწოდებით „შრომელი ქალის ხმა". გაზეთს ემბლემად ექნება „ქართველი მუშა ქალი წითელ დროშით ხელში", და აქვს წამოყენებული ლოზუნგი „გაუმარჯოს ქალების აქტივობას წითელ გაზეთში" გაზეთი გამოვა ყოველ კვირას, რომელშიც მოთავსებული იქნება თვით წრეში მომუშავე ქალების წერილები, სადაც პოპულიარულად მასსისთვის გაშუქებული იქნება თვით ქალების ყოფა-ცხოვრება, ყოველი კორესპონდენტ ქალის მიზანია—ბრძოლა იმ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არის დარჩენილი ძველ ცარსული სახელმწიფოების ნანგრევებზე, რომლის აღმოფხვრა ძირიანფესვიანად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

მუშა ქალი ნ. ხოხელია.

ფაბრიკა-ქარხნებში
ამხ. კალინინის სახელ. თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა

— **შეკვეთები.** კომზაჰესისაგან მიღებულია დაკვეთა სამ კომპლექტად „არტურ კოპელ"-ის სისტემის ორთქმავლების ნაწილების დასამზადებლად.

— **ა. კ. ბამბის კომიტეტისათვის** მზადდება თუჯის „პორშენი" შკიფები" და ორი დანა სახალავისათვის.

რკინისგზებისათვის, აკეთებენ ქვაბებს წყლისთვის. მზადდება „ბუქსები" კომზაჰესისათვის ასი ცალი 900 მანეთის ღირებულებისა.

ქარხანას აქვს მიღებული აგრეთვე, სხვა წვრილმანი შეკვეთებიც 2000 მანეთის ღირებულებისა. ბორჯომის კომბინატს ჩაბარეს დამზადებული „ბანდაჟები" მობენავებისთვის (ძნისთვის) 2 ცალი წონით 123 ფუთი.

ავჭალის წყალსადენს, ჩაბარდა „ველი" (ჩავ).

ს. მ. უ. ს. ქსნის ქარხანას ჩაბარდა ვენტილიატორი, აგურის და კრამიტის გასაშრობად.

გაუკეთეს კაპიტალური რემონტი ამხანაგობა „ქართლი"-ს ხილეულის ქარხნის საქაჩავს.

გამზადებულია ჩასაბარებლად ე. მ. ს-ისთვის ახალი „პორშენი". მამოძრავებლისთვის და აგრეთვე დამთავრებულია მისი ცილინდრის გათლა-გახეხვა.

ლენინის კუთხე. 29 ნოემბერს გაიხსნა „ლენინის კუთხე" დიდის ზეიმით. კუთხეში ბლომად მოიპოვება ლიტერატურა ლენინიზმის, რომელსაც მუშები დიდის ინტერესით ეტანებიან.

ინფ. ტონკა.

იურიდიული დახმარება
(ამხ. მუშებს)

შეკითხვა:

ხუთი სტუდენტი ვცხოვრობთ ერთ სახლში. ეს სახლი ეკუთვნის მოქ. წამალაშვილს. ზოგი ჩვენთაგანი მსახურობს. ეზოში წყალი არა გვაქვს და ვერსნახევრიდან გვიხდება წყლის მოტანა. ხანდისხან გვიან ვბრუნდებით ბინაზე და წყალსადენიც იკეტება, ვრჩებით უწყლოთ, განვიცდით ცუდ მდგომარეობას. ჩვენი მეზობლის ეზოში მოდის წყალი.

გვაქვს თუ არა უფლება შევიტანოთ წყლის საფასური და ვისარგებლოთ წყლით. ამაზე არ თანხმდება, ვინაიდან მას ჩვენთვის სრულებით გული არ შესტკივა.

ხელს აწერს ხუთი კაცი.

პასუხი:

მეზობლის წყლით სარგებლობა თქვენ შეგიძლიათ, თუ კი თქვენ იმ დახარჯულ წყლის საფასურს რიგიანათ გადაიხდით.

შეკითხვა:

გთხოვთ მაცნობოთ შემდეგი: გერმანიის ბრძოლის დროს ტყვეთ მოჰყვა ჩემი ძმა. მის შემდეგ ამ ორი წლის წინეთ გავიგე, რომ იგი ცოცხალი უნდა იყოს. ვის მივმართო ან როგორ მოვიქცე, რომ გავგზავნო ცნობა გერმანიაში ამის გასაგებათ.

რკინის გზის მუშა რ. შალამბერიძე.

პასუხი:

ამის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში სათანადო შუამდგომლობით, სადაც უნდა აღნიშნოთ თქვენი ძმის ვინაობა და გერმანიაში მისი საცხოვრებელი ადგილი (ოლქი, ქალაქი და სხვა)

წერილები პროვინციიდან

ექიმ ერისთავის იუბილეს გამო

ექიმმა დიმიტრი კონსტანტინეს ძე ერისთავმა 1905 წლის შემდეგ წლებში, როცა გურიაში რეაქცია მძვინვარებდა, არ შეიბრალა ჩვენი მოხუცი ღარიბი მამა გიგო იესეს ძე დოლიძე და ღალის შეუტანლობისათვის დაატუსაღებია სტრაჟნიკებს. მოხუცმა მამამ ერთი თვე დაჰყო ოზურგეთის საპყრობილეში. საბრალო მოხუცმა დედამ დიდის ვაი-ვაგლახით მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოახერხა ფულის შოვნა და მოხუცი ქმრის დახსნა.

დღეს თურმე დიმიტრი ერისთავს იუბილეს უმართავენ. მაგრამ ამას არ შეუძლია წარხოცოს მის ცხოვრებაში ეს შავი ლაქა.

ძმები: 1. ა. დოლიძე, 2. თ. დოლიძე 3. ს. დოლიძე.

რაზედ სჩივის ჩვენი გლეხობა

ნაგომრის რაიონი (გურია)

ამ რაიონის ყველა სოფლებში ჩატარდა ხსენებული გადასახადის კამპანია.

კრებებზე ყველა სოფლის გლეხობას ერთი და იგივე აზრი გამოაქვს: გადასახადი აუცილებელია ჩვენი მეურნეობის მოსაწყობათ, ყველანი სწუხან იმის გამო, რომ გაწერის დროს შეცდომებია დაშვებული.

შეძლებულ გლეხს, რომელსაც მიწაც საკმარისი აქვს, ოთხფეხი და წვრილფეხა ცხოველებიც საკმარისი ჰყავს, წლიურად 200—300 ფუთ „ადესის" ღვინოს დააყენებს და სხვა შემოსავალიც აქვს—ასეთ გლეხს 5 მანეთამდის აქვს შეწერილი და მის გვერდით მცხოვრებ ღარიბ გლეხს კი 15—20 მანეთი.

გლეხობას იმედი აქვს, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ სათანადო ორგანოები და შეცდომების გამოსასწორებლად სასწრაფო ზომები იქნება მიღებული.

მეორე, რაც აწუხებს გლეხობას—ეს არის ბაზრის უქონლობა. გლეხები ამბობენ:—ჩვენ გვაქვს სიმინდი, ჩაი, ღვინო, არაყი, დაფნა, თუთუნი, თხილი, მანდარინა და სხვ. ხილეული, რომლებიც ჩვენი ოჯახის შემოსავალს შეადგენს; მოგვეცით ამის ბაზარი და გადასახადსაც თავის დროზე გადავიხდითო.

ადგილობრივად ჩვენი კოოპერაცია სუსტია, მას არ აქვს საშუალება ზემოთ ნაჩვენებ საგნების შეძენისა და ამიტომ საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ სათანადო ორგანოებმა.

ქ. უჯმაჯურიძე.

ყოფილ მენშევიკთა თათბირი

დაბა სუფსა (გურია)

ამა წლის 14 დეკემბერს შესდგა სუფსის ყოფილ მენშევიკთა სარაიონო თათბირი, რომელსაც დაესწრო 13 კაცი რაიონის თითქმის ყველა თემებიდან. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ერ. ჩხაიძე მდივნათ კი ვალოდი გუჯაბიძე.

თათბირზე მოკლე მოხსენებას აკეთებს ყოფ. მენშევიკთა ოზურგეთის სამაზრო ბიუროს წევრი ამხ. შალვა ქუთუშიძე, რომელიც ახასიათებს მთავარ მომენტებს მენშევიკური პარტიის გახრწნისას. თათბირმა მოისმინა რა მოხსენება ხანგრძლივი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა:

მოწვეულ იქნას ხსენებული რაიონის ყოფ. მენშევიკთა გაფართოებული, კრება. არჩეულ იქნა სარაიონო საინიციატივო ბიურო, სამი კაცისაგან შემდგარი: 1) კვირიოსი ჩხეიძე, 2) პეტრე როყვა, და 3) არსენ მდინარაძე.

ვარონი.

ქ. ფოთის მუშათა და გლეხთა მილიცია თავის სიმაღლეზე სდგას

ა. წ. 8 დეკემბერს ღამის 2 საათზე დიდ კუნძულში ბოროტ-გამზრახველებმა გასტეხეს ხალხის ქონებით სავსე მუშკოპის მაღაზია.

ბოროტ-მოქმედი აღმოჩნდა ვილაცა დუნდუა, რომელიც შეპყრობილი იქნა მეორე უბნის მოდარაჯე მილიციონერის მიერ.

ვინ არის ეს ბოროტ-მოქმედი ადამიანი? ეს ვაჟბატონი დუნდუა წარსულ კვირაში ნოქრობის თანამდებობას თხოულობდა ამავე კოოპერატივში, მაგრამ გამგეობამ ის ნოქრათ არ დაუშვა, რადგანაც ვერ სცნეს საიმედო პიროვნებათ.

მადლობის ღირსია ფოთის მუშათა და გლეხთა მილიცია, რომელიც თავის სიმაღლეზე სდგას.

დ. გ—ლი.

ხარაგოულის შვიდწლედი

საველე აბულაძე, რომელიც განაგებს ხარაგოულის შვიდწლედს დაუღალავ შრომას ეწევა სასწავლებლის გაჯანსაღებისა და გამშვენიერებისათვის. მან პირველმა შემოიღო სისტემა მოწაფეთა თვითმართველობისა—თვითმოქმედების საფუძველზე აგებული.

გარდა ამისა დაარსდა ხარაგოულის უბნის განათლების მუშაკთა სამეცადინო პედაგოგიური წრე, სადაც იკითხება ორ კვირაში ერთხელ ლექციები და მოხსენებები პედაგოგიკიდან.

დაარსებულია აგრეთვე სასწავლებელში საბუნებისმეტყველო, სალიტერატურო, პოლიტიკური, დრამატიული წრე, სპარტაკი და მომღერალთა გუნდი.

მასწავლებლის გამგის ხელმძღვანელობით დაარსებულ იქნა დაბა ხარაგოულში მოზრდილთა სალიტერატურო წრე, რამაც გამოაცოცხლა ხარაგოულის საზოგადოება.

დავით გოგია

გაჭედილის თემი

(სენაკის მაზრა)

გაჭედილის თემი შედის მარტვილის რაიონის ფარგლებში და მდებარეობს დაბა მარტვილიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით ხუთი ვერსის მანძილზე. თემი მთა-გორიანია, მიწა მწირი და მოუსავლიანი. ხალხი ეკონომიურად ჩამოქვეითებულია. მცხოვრებთა უმრავლესობა მისდევს ხვნა-თესვას, ხოლო ფრიად მცირე ნაწილი მეჯოგეობას. ამ უკანასკნელთ თავისი ნაწარმოები—ყველი გააქვთ გასასყიდათ დაბა მარტვილის ბაზარზე პარასკევობით.

კულტურულად ეს თემი ჩამორჩენილი იყო და მისი ცხოვრება მოდუნებული. ეს იყო უწინ, ეხლა კი სულ სხვაა.

გაყვანილია მთებში საურმე გზები. თემში არ არსებობდა სხვა სკოლა გარდა ორი საბჭოთა სკოლისა; დღეს მას აქვს თემის ცენტრში შვიდწლიანი მთლიანი შრომის სკოლა მშვენიერი შენობით.

აბაშისპირელი.

ზულქარ-კეთილარის თემი

(სენაკის მაზრა)

ეს თემი მდებარეობს აბაშის რაიონში მდ. რიონის გაღმა. კარგი მოსავლიანი თემია, მაგრამ ხშირათ კი, როდესაც რიონი გადაკა ნაპირებიდან, ანადგურებს მოსავალს. ამის ასაცილებლათ გლეხობამ გააკეთა დამბა და რიონის შიში დროებით მაინც აცილებულია.

ამ სოფლებში არსებობს კოოპერატივი, შენობა კოოპერატივის არ არის შესაფერისი. ამ კოოპერატივს აქვს კავშირი ნიგოითის კოოპერატივთან, იმისგან ღებულობს ყოველივე საქონელს, მაგრამ ძალიან ცოტას.

საჭიროა ამ მიგდებულ კუთხეს რომელსაც ქალაქი შორს აქვს, მიექცეს მეტი ყურადღება და გლეხების საჭიროების დასაკმაყოფილებლად იგზავნებოდეს, რაც შეიძლება მეტი საქონელი.

ამ თემში არსებობს აგრეთვე შვიდწლედიანი სკოლა, სკოლის შენობა ვერ იყო კარგი. ეხლა კი ადგილობრივმა გლეხობამ იკისრა სკოლის დარღვევა და გადაკეთება კიდევაც შეასრულეს. ვინც დაინახავს ამ სკოლას, ყველას გაუხარდება, ვისაც აინტერესებს განათლების საქმე.

ვასკაჭ.

რაიალმასკომების რეორგანიზაცია ახალციხის მაზრაში

ახალციხის მაზრა მთა-გრეხილებით სხვადასხვა უბნებადაა დაყოფილი. მაგრამ მიუხედავათ ბუნებრივი დანაწილებისა, მოხდა მაზრის ადმინისტრატიული დანაწილება რაიონებად, რომელიც მეტნაწილად ბუნებრივ დანაწილებას არ შეეფარდებოდა.

გარდა ამისა თემალმასკომების გაუქმებამ და რაიალმასკომების შემოღებამ თვით გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებას დააშორა და მათ შორის, შეიძლება, გაუგებრობასაც ჰქონებოდა ადგილი. ცენტრის მიერ ეს არანორმალური მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და საქ. ცაკის მესამე სესიამ თავის დადგენილებით გამოასწორა ეს მდგომარეობა.

დღეს ახალციხის მაზრა თემებადაა დანაწილებული და შექმნილია თემალმასკომები. მაზრის თემებად დანაწილება ბუნებრივ დანაწილებასთანაა შეფარდებული.

მაზრის ასეთი დანაწილება—ბუნებრივ მდგომარეობის გამო—განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ახალციხის მაზრისათვის.

კორდელი.

პროვინციის ქრონიკა

— **გომბორის** სახალხო მამულში წელს მოიკრიფა 47 ათასი ფუთი ვაშლი და მსხალი.

— **საავადმყოფო სოფლათ.** სოფ. ახალქალაქის (ქართლშია) აღმასკომმა გადასწყვიტა საფუძვლიანათ შეაკეთოს ადგილობრივი საავადმყოფო.

— **გორის სამაზრო** აღმასკომმა სოფ. ქვემოჭალის აღმასკომს სხვადასხვა სამშენებლო საქმისათვის გადასცა 30 ბოჩკა ცემენტი.

— **შორაპნის მაზრის** ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა გაამაგროს მდინარე ყვირილის ნაპირები.

— **არხის გაყვანა.** გორის აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას ატანის სარწყავი არხის გაყვანას შეუდგეს.

— **საექიმო პუნქტი.** შორაპნის აღმასკომმა ჯანმრთელობის განყოფილებას დაავალა სოფ. მერევში მოაწყოს საექიმო პუნქტი.

— **ახალი ხიდი.** გორის აღმასკომმა შეიძინა 150 ცალი რკინის ხიდი ახალი ხიდის საჭიროებისათვის.

— **დახმარება ინვალიდებს.** გორში დაარსდა სრულიად საქარ. ინვალიდთა დამხმარე საზოგადოების სამაზრო კომიტეტი.

— **სახლის გადაცემა.** ქ. გორში ადგილობრივ მდგარ ტერიტორიალურ ლეგიონს შტაბის საჭიროებისათვის გადაეცა სახლი.

— **ნაგომარში.** (გურია) დაარსდა სარაიონო საგლეხო საკრედიტო ამხანაგობა.

— **საქ. წითელმა ჯვარმა** ნაგომარში გახსნა საექიმო პუნქტი და გაგზავნა ექიმი ქალი

ხელოვნება

ძუკუ ლოლუას გუნდის კონცერტი

ქართული მუსიკის სიღრმე ხალხურ ჰანგებშია.

ლამაზი ხალხური მელოდიების დამუშავება და მუსიკალურ ფორმებში ჩამოსხმა ამოუწურავი თემაა ჩვენი კომპოზიტორებისათვის.

მაგრამ იმისათვის, რომ ხალხური სიმღერები შესწავლილი და დამუშავებული იქნეს, საჭიროა მათი შეკრება და დაცვა. ამ მხრივ ჩვენი მუშაობა მოიკოჭლებს. ეს საქმე ჯერჯერობით მხოლოდ ხალხური სიმღერების გულშემატკივრების საზრუნავ საგანს შეადგენს.

ჩვენში ბევრი იყვნენ და ეხლაც არიან ძველი სიმღერა-ს გალობლების მცოდნენი. დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების და ჰანგების ერთ საუკეთესო მცოდნეთ ითვლებოდა განსვენებული ძუკუ ლოლუა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ სიმღერების შეკრება-გავრცელების საქმეში.

მან ბევრი მივიწყებული ჰანგები აღმოაჩინა. ზოგი თვითონ დაამუშავა 25 წლის განმავლობაში ის თავისი გუნდის საშუალებით დაუღალავათ ეწეოდა ხალხური სიმღერების პოპულიარიზაციას.

საბედნიეროთ მისი სიკვდილის შემდეგ ამ საქმეს გამოუჩნდნენ სხვა გულშემატკივრები. მისი სახელობის გუნდმა ოთხშაბათს, 17 დეკემბერს, ახალი კლუბის თეატრში გამართა კონცერტი, რომელმაც დიდძალი ხალხი მიიზიდა.

კონცერტის პროგრამა შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან: პირველ განყოფილებაში გუნდმა შეასრულა ექვსი ძველი მეგრული და ერთი გურული სიმღერა.

ჰარმონიზაციის მხრივ საინტერესოა „ეს სოფელი საზოგადოო" (მგზავრული) ტრიო და ძველი „კუჩხა ბედნიერა". ეს უკანასკნელი გამოხატავს ხალხის რწმენას და მის გულწრფელ სიხარულს.

შესანიშნავია აფხაზური სიმღერა „დამარცხებულის" და „დაჭრილის". ტექნიკურათ ის მეტათ ძნელია, ამასთანავე მდიდარია ლამაზი მელოდიებით საუცხოვოა „ტრიო" მეორე განყოფილებაში; აქედან სჩანს, თუ როგორ განვითარებულია ჩვენს ხალხში მუსიკა. ეს სიმღერა არა მარტო უბრალო სახალხო—მომღერლისათვის, არამედ დახელოვნებულ არტისტისათვისაც კი უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს.

თავისებურია მეგრული ჟრუმული—ჩელა მეტად ლამაზია „ოყონური" (ნადური): სიმღერაში მოცემულია ყანაში მუშაობის რიტმი.

მესამე განყოფილებაში შესრულებული იყო სხვა და სხვა სიმღერები ჩონგურზე დაფერხული („ღუმა ხეთას გოხოლუდი").

შესრულების შესახებ უნდა ითქვას, რომ გუნდი ხმაშეწყობილათ მღერის, სჩანს დიდი შრომა და მუყაითობა. ზოგიერთი სიმღერების გამოცემაში სჩანდა ნაკლი (განსაკუთრებით დაბოლოვებაში).

კონცერტის დასრულების შემდეგ გუნდმა საზოგადოების თხოვნით გაიმეორა რამოდენიმე სიმღერა.

შ. ა.

საქართველოს პროლეტკულტის მუშაობა

საქართველოს პროლეტკულტი არის პროლეტარული შემოქმედების კულტურული ცენტრი.

პროლეტკულტის საზოგადოებაში ითვლება 321 წევრი.

პირველი ოქტომბრისთვის პროლეტკულტის ხელმძღვანელობით მუშაობდენ შემდეგი დაწესებულებები:

სამხატვრო ტეხნიკუმი, რომელშიაც ემზადებიან პროლეტარული კულტურის მუშაკები, შემდეგი სექტორებით: ქართული, რუსული, სომხური და თურქული.

ტეხნიკუმის მუშაობა თვითშემოქმედების პრინციპზეა აგებული.

ტეხნიკუმში ირიცხება 200 სტუდენტი, რომელნიც დანაწილებული არიან შემდეგ განყოფილებაში: სათეატრო, ლიტერატურული, სახატვის და კინემატოგრაფიულში.

ტეხნიკუმის გარდა მოწყობილია ლიტერატურული სახელოსნო, დეკორატიული პლაკატების და მოქანდაკეობის სახელოსნო. ჩამოთვლილი სახელოსნოები მუშაობენ საერთო დაწესებულებათა პრინციპზე.

წითელ თეატრში მუშაობს ხუთი ძირითადი, სექტორი: ქართული, სომხური, თურქული, რუსული და მოძრავი სექტორი. აგრეთვე დამატებითი სექტორები: ასირიული, ებრაელთა, გერმანული და უკრაინული.

წარმოდგენები და სამხატვრო საღამოები წითელ თეატრში იმართება მხოლოდ მუშებისათვის, წითელარმიელთათვის, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის წევრთათვის და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ამას გარდა პროლეტკულტი ყოველთვიურათ 30 წარმოდგენაა—საღამოს მართავს მუშათა უბნებში.

ლიტერატურულმა სახელოსნომ შექმნა სრულიად დამოუკიდებელი რეპერტუარი წითელი თეატრისათვის ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე; ამას გარდა პარტიულ ორგანიზაციათა დახმარებით იგი შეუდგა პროლეტარულ მწერალთა ნაწერების კრებულის გამოცემას.

ლიტერატურული სახელოსნოს რეპერტუარით უზრუნველყოფილია პროლეტკულტის წითელი თეატრის მოძრავი სექტორი, რომელიც „ცოცხალი გაზეთის" სტილით მუშაობს.

პროვინციასთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით, პროლეტკულტის წითელმა თეატრმა და ლიტერატურულმა სახელოსნომ მოაწყო ორი სამხატვრო - სააგიტაციო ექსპედიცია ქართულ და რუსულ ენებზე.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

— **სახელმწიფო ოპერა.** „ზუგენოტი".

— **სახ. კონსერვატორიაში** დღეს გაიმართება სიცილის საღამო მ. ბორისოვის მონაწილეობით.

დღეს კინოებში

— არფასტო—„მონტე-კრისტო".

— აპოლო—„ქალი გზა-ჯვარედინზე".

— მინიონ—„სიყვარულის და ცხოვრების ტალღები".

— პალას—„ინდოეთის საიდუმლო".

— გლობუს—„სულის გამყიდველი".

— თვითმფრინავი—„ავანტიურისტი ქალი მონტე-კარლოდან".

— [illegible]—„დაწყევლილი სახლი".

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 41.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღით და 16 №-ით გამოცემული დეკრეტის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა უფლება და ფუნქცია, რაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. დეკემბრის 28-ს დეკრეტით მიკუთვნებული აქვს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოფილ სახალხო ბანკს, გადაეცეს ტფილისის კომუნალურ ბანკს.

2. ძირითადი ვალის მეათედი ნაწილი, რაც 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღისა და მე-16 №-რის დეკრეტის მე-3 მუხ. თანახმად გადახდილ უნდა იქნეს და რაც ყველა [illegible] 1924 წ. დეკემბრის 1-თვის [illegible] ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ სახლებზე, გადიდებულ იქნეს სამოცდახუთი (65) პროცენტით.

3. 1922 წლის დეკემბრის 28-ს თარიღისა და 16 №-რის დეკრეტის მე-10 მუხლს დაემატოს მე-3 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

უკეთუ საჭირო იქნება, ტფილისის კომუნალურ ბანკს უფლება აქვს საჯარო ვაჭრობა დანიშნოს ხოლმე სხვა ვადაზედაც თავისი შეხედულებისამებრ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. დეკემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

ჩვენი ფოსტა

ხაშური. კონსტანტინე ციცქიშვილს. გაზეთი გეგზავნებათ 15 დეკემბრიდან.

თელავი. ანტონ მამულაშვილს. გაზეთი გეგზავნებათ 1 დეკემბრიდან სისტემატიურად; მიმართეთ ადგილობრივ ფ.-ტ. განყოფილებას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტკლუბში **ამხ. მამია ორახელაშვილი** გააკეთებს მოხსენებას პოლიტიკური ცოდნის და რაიონულ პარტიულ სკოლების ხელმძღვანელთათვის სავალდებულოა ხელმძღვანელთა დასწრება.

— შაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება **გამომგონებელთა ასოციაციის წევრთა საერთო საქალაქო კრება.**

სავალდებულოა ყველა წევრების გამოცხადება.

კრებაზე მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: სამქუაშვილი, საზონოვი, ალქსინი, გალუსტოვი, გოლსი, თეიმურაზოვი.

გამომგონებელთა ასოციაციის მდივანი ეპელბაუმი.

— შაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე მბეჭდავთა კლუბის შენობაში (რუსთაველის პრ. № 39) მოწვეულია მეოთხე რაიონის **საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრთა საერთო კრება.**

დღის წესრიგი: 1) საბჭოთა საზოგადოებრიობა და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება—ამხ. ელიავას მოხსენება.

2) ამხ. დვორიანოვის მოხსენება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მეორე სრულიად საკავშირო თათბირის შესახებ.

3) მიმდინარე საქმეები.

საკითხების მნიშვნელოვანობის გამო სავალდებულოა საზოგადოების ყველა წევრების გამოცხადება დაუგვიანებლად.

კრებაზე დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომის
პასუხისმგებელი მდივანი სტურუა.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მეოთხე რაიონის
საბჭოს მდივანი ლეონოვა.

პროფესიული.

თვითმშრომელთა საურთიერ. დამხმარე საზ. წევრების საყურადღებოდ.

16 დეკემბერს მმართველობის სხდომაზე გაუქმებულია საწევრო ფულის ამკრები აგენტების შტატი. ამიტომ მმართველობა სთხოვს წევრებს თვით იზრუნონ დროზე საწევრო ფულის შემოტანაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულ იქნებიან კავშირიდან.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: ვანო და ანიჩკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ თექვსმეტ დეკემბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

სიდო ლუარსაბის ასული
იორდანიძისა

დაკრძალვა მოხდება ნიკოლოზის სასაფლაოზე პარასკევს, 19 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება ბინიდან, ოლღის ქუჩა № 81. 3112 1—1

გულდამწვარი და გაუბედურებული ცოლი ტასო, დები თალიკო, ივლიანე, ნინა თავის ქმრით ბაგრატ ნათენაძეთი, ქვისლი გიორგი ცოლით—დაროთი და შვილებით შალვა, ვახტანგი ნათენაძეები, ცოლის ძმები ალექსანდრე, ვანო, გიგო პაპაშვილები თავიანთ ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სამსონ სოლომონის ძე
ოთარიშვილი

პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე, (კონსტანტინოვის ქ. № 14.) დაკრძალვა მოხდება კვირას პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3113 2—1

ღრმად დამწუხრებულნი პაშა დიმიტრის ასული ქაჯაია-თალაქვაძისა და მოსე სილევანის ძე თალაქვაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი—პირველის ერთად-ერთი საყვარელი ძმის—და მეორეს ცოლის ძმის

აქვსენტი (ბიჭიკო) დიმიტრის ძის
ქაჯაიასი

უდროვოდ გარდაცვალებას ა. წ. 1-ლ დეკემბერს. ქ. მოსკოვში. 3108 1—1

17 დეკემბერს, ღამის 10 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი დედა

სოფიო პავლეს ასული
მურუსიძე

პანაშვიდი პარასკევს, 19 დეკემბერს, 5 საათზე საღამოს (ავურის შესახვევი სახლი № 16 ბინა № 8). დაკრძალვა მოხდება 20 დეკემბერს, შაბათს, 3 საათზე ნაშუადღევს (ვერის, წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე) რასაც აუწყებენ საზოგადოებას შვილები იაკიმე, რძალი ეკატერინე და შვილიშვილები: გოგი და ირაკლი მურუსიძეები. 3107 1—1

სახელმწ. ოპერა
დღეს, 19 დეკემბერს
ჰუგენოტები
ნ. 361 3—3

სახელმწ. დრამა
შაბათს, 20 დეკემბერს
ლამპარა
კვირას, 21 დეკემბერს
ცხვრის წყარო
ნ. 392 5—3

ს. კ. პ. ცეკას გამომცემლობათა მთავარი კანტორა
გაუქმებულად აცხადებს
მანდატს, რომელიც ამა წლის ოქტომბრის 23-ს № 11776-ით მიეცა მოქალაქე ალექსანდრე ესაკიას (განცხადებათა შემკრები აგენტი)
2—1

მოთავდა კაპიტალური შეკეთება მთელს საქართველოში ცნობილ სამკურნალო მინერალური გოგირდის
აბანოსი გოგილო-სი
რომელიც მოთავსებულია კახეთის ქუჩაზე. არის როგორც ნომრები, ისე კაცების და ქალების საერთო განყოფილებანი
აბანო მუშაობას დაიწყებს 20 დეკემბრიდან და ღია იქნება ყოველდღე დილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე. აბანოში არის (2) ორი ოთახი პროვინციიდან ჩამოსულ ავადმყოფთა ღამის გასათევი.
ნის. 405. 3—1 აბანოს ადმინისტრაცია.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 8)
ამით აცხადებს, რომ კვირას 21 დეკემბერს 11 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასული გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნის. 406. 1—1

კინო-მინიონი
ხუთშაბათიდან 19 ნოემბრიდან
ალლა ნაზიმოვას მონაწილეობით
ქალი ფარშავანგის ფრთებით
კინო-პიესა 6 ნაწილად.
ახლავე:
ამ დღეებში ნაჩვენები იქნება
წითელი პარტიზანები
კინო-პიესა ათ ნაწილად.
ნ. 408 1—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—16

ექიმმა
დიტრიხმა
ავადმყოფობის შემდეგ
განაახლა
ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში
ქვ. № 2837—25—19

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35
25—9

ექიმმა
ზანდუკელმა
განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი
ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.—82.
№ 2797—25—24

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „[illegible]" პირდაპირ. 25—19 № 2850

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
13—7 2746

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).
ავადმყოფების მიღება 9-დან დილის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
3083 25—3

ექიმი
პ. რ. ვართანოვი
სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს. მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.
25—4

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო
თერაპევტიული განყოფილებით
სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.
ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13. ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.
ნის. 372 100—5

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—12

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).
25—8

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ამ. კ. რკ. გზ. სამართველოდან ანნა დავითის ასული სვანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3115 1—1

დავკარგე სილარიბის მოწმობა მე-12 სამილიციო უბნიდან მოცემული მარია მათეს ასული მაღალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3116 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა არჩილ სამსონისძე სიხარულიძის სახელზე. მოცემული დამტვირთავ-გადმომტვირთველ ბიუროსაგან № 963. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3109 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული ავჭალის სოფლის საბჭოდან და სარეგისტრაციო აღრიცხვის ბარათი № 1159 ალექსანდრე სარდიონისძე ჩიქოვანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3111 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 231 მოცემული „ტფილისის რაიონიდან" ისიდორე ვლადიმერისძე ფოფხვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3106 1—1

დავკარგე ვლადიმერი ნიკოლოზისძე სიხარულიძის სახელზე სამხედრო საალრიცხვო პირადი წიგნაკი ფორმა № 4. გაცემული ჩოხატაურის რაიონის აღმასკომის სამხედრო მაგიდის მიერ ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3105 1—1

დავკარგე დროებითი მოწმობა, გაცემული ფოთის მილიციის სამმართველოდან ამა წლის სექტემბრის თვეში ექვსი თვის ვადით. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ილიკო ნიკოლოზის ძე ლეჟავა. 3118 1—1

დავკარგე აქციზის კანტრალიორის სვიმონ ღვთისავრიშვილის სახელზე პასპორტი, სამსახურის მანდატი, გარე-კახეთის რაიონის სოფლების საბჭოსაგან მიღებული მოწმობები, ხელწერილები ცხენის ქირის მიღების შესახებ და ფოსტის ქვითარები. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3117 1—1

„ზარია ვოსტოკის" სტამბა ხაზე წერეთლის ქუჩა № 6